

**მ უ შ ა თ ბ ი ს გ ე გ მ ა**

**20 დეკემბერი, 12<sup>00</sup> საათი**

## **69-ე სამეცნიერო სესია**

### **მ ა ს ა ლ ე ბ ი**

2010 წლის 20-23 დეკემბერი

რედაქტორები — **ავთანდილ არაბული  
თამარ გაშაკიძე**

- ალ. ჭი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი , ეტიმოლოგიური შენიშვნა. საწმისი
- თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, /ი/ ხმოვნის ვარიანტები ძველ ქართულსა და თანამედროვე დიალექტებში
- ა. ა რ ა ბ უ ლ ი , ლ. ბ ი ნ ი ა შ ვ ი ლ ი , ლ. ს ო ხ ა ძ ე , ქცევის ფორმათა ასახვის ზოგი საკითხისათვის ქეგლის ახალ რედაქტიაში
- ვ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი , ძველი ქართული ენის ლექსიკიდან.
- გ. მანდა
- ჩ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე , „ალდატ“ („ალდაჭ“) სიტყვის სემანტიკისათვის ძველ ქართულ ენაში (ქართულ-სომხურ ენობრივ ურთიერთობათა შუქზე)
- ქ. მ ი თ ა გ ვ ა რ ი ა , ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის ძირითადი ტერმინები აღიღეურ ენაში
- ჩ. ბ უ კ ი ა , ქართველური ლექსიკა ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“
- ლ. კ ე ლ ა უ რ ი ძ ე , საერთოქართველურ ჰარმონიულ კომპლექსთა შესატყვისობათათვის ბურუშულსა და ბასკურ ენებში
- ნ. ფ ო ნ ი ა ვ ა , აფხაზური ენის CVC ტიპის ზმნურ ძირთა ფონემური შედგენილობისათვის

©არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

## **21 დეკემბერი, 12<sup>00</sup> საათი**

- გ. კვარაცხელია, ლ. ვაშაკიძე, ბიძინა ფოჩხუას თე-ზაურუსი, როგორც ქართული ენის შინაარსობრივი პლანის პარადიგმატული მოდელი
- გ. გოგოლაშვილი, პ-და ს-პრეფიქსთა ფუნქციისათვის ქართულში
- ვ. შენგელია, კვლავ იბერ - და იმერ - ფუნქტა შესახებ
- ტ. გურგენიძე, იერარქიული მიმართება გრამატიკულ კლასებს შორის
- მ. ღლონტი, ღმერთის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის
- ე. გაზდელიანი, ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა განაწილებისათვის ხმოვანფუნდიან სახელებთან სვანურში
- რ. ჭკადუა, უსუფიქსო გარდაუვალ ზმნათა ფორმობრივ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში
- თ. ვაშაკიძე, წყვევლა-მუქარის, ფიცისა და ლოცვის ფორმულები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში
- ე. შენგელია, ზოგი მეგრული ფუძის ეტიმოლოგიისათვის (მუსხ-ი//მოსხ-ი, თესხ-ი//თისხ-ი, მუსხიშა(ხ), თესხიშა(ხ)//თისხიშა(ხ))
- რ. ლოლუა, კავკასიის ალბანური ანბანის ასო-ნიშანთა რაოდენობის დადგენისათვის

## **22 დეკემბერი, 12<sup>00</sup> საათი**

- მ. სუხიშვილი, გვარის ფორმები გამოხატულებისა და შინაარსის პლანის მიხედვით
- ჩ. ჩუხუა, სვანური მიცემითის -ან სუფიქსი და მისი პარალელები სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში
- შ. გაბესკირია, ენათმეცნიერულ-ისტორიული მოსაზრებები ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომავლობის შესახებ
- ც. კვანტალიანი, **წმინდა** და **წმიდა** ფორმათა მონაცვლეობისათვის
- თ. ბურჭულაძე, ერთი ტიპის პარატაქსული წინადადების შესახებ
- ჩ. ჩაჩანიძე, ლექსიკოგრაფიული სემანტიზაციის ვერბალური საშუალებები და ლექსიკონთა ტიპოლოგიის პრობლემა
- ქ. მარგიანი - სუბარი, სუბკატეგორიათა ომონიმიისა და მათი სემანტიკური ურთიერთმიმართებისათვის სვანურ ენაში
- ნ. ჯორგენაძე, არსებით სახელთა ჯგუფები ქართულში
- მ. თეთრაძე, ბაცბურ ერთმარცვლიან CV და VC ტიპის სახელურ ფუნქტა კლასიფიკაციისათვის

## 23 დეკემბერი, 12<sup>00</sup> საათი

- ვ. შენგელია, საგრანტო პროექტზე მუშაობის მეორე წლის (IX-XII კვარტალები) შედეგების შესახებ
- გ. მაჭავარიანი, ბათუმელ აფხაზთა მეტყველების შესახებ. III
- რ. ფარეულიძე, რიცხვით სახელთა ზოგი თავისებურების შესახებ ჩეჩენური ენის ქისტურ დიალექტში
- ლ. სანიკიძე, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოების თაობაზე ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენაში
- ლ. აზმაიფარაშვილი, ზოგ სინტაქსურ თავისებურებათა შესახებ ხუნძური ენის ანწურებურ დიალექტში
- ნ. არდოტელი, ლაბიალიზებული კომპლექსის გამარტივებისათვის ბეჭიტურ ენაში
- რ. ლოლუა, პრედიკატული სინტაგმის კონსტრუქციებისათვის უდიურ ენაში

ავთანდილ არაბული, ლალი ბინიაშვილი,  
ლიდა სოხაძე

### ქცევის ფორმათა ასახვის ზოგი საკითხისათვის ქეგლის ახალ რედაქციაში

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (რეატომეული) შეინიშნება არაერთგაროვნება (არათანამიმდევრულობა) იმგვარი ზმნური სალექსიკონ ერთულების გრამატიკული კვლიფიკაციისას, რომლებსაც ფორმა სასუბიექტო (სათავისო) ან საობიექტო (სასხვისო) ქცევისა მოეპოვებათ, მაგრამ გრამატიკული შინაარსის თვალსაზრისით ამგვარ გაგებას არ (resp. აღარ) შეიცავენ. მაგალითისამებრ:

**გაითვლის** (გაითვალა, გაუთვლია) გრდმ.

**გადაითვლის** (გადაითვალა, გადაუთვლია „თავისთვის“) გრდმ. სუბ. ქც. გადაითვლის შენისა

**გამოითვლის** (გამოითვალა, გამოუთვლია) გრდმ. სუბ. ქც.

**გაიცინებს** (გაიცინა, გაუცინია) გრდმ.

**გაიღიმებს** (გაიღიმა, გაუღიმია) გრდმ. სუბ. ქც. გაიღიმებს შენისა

**გაიღიძებს** (გაიღიძა, გაუღიძინა) გრდმ.

**დაიძინებს** (დაიძინა, დაუძინია) გრდმ. სუბ. ქც. დაიძინებს შენისა

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ამგვარ ფაქტებს არაერთგზის მიჰქეცევია ყურადღება. აკაკი შანიძე მსგავს ფორმებს „უფუნქციონ“ ან „ფორმალურ“ სათავისოს (შესაბამისად — სასხვისოს) უწოდებს.

როგორც მასალა წარმოაჩენს, თავისთავად ქცევათა ამგვარი „ცრუ“ გამოხატვის შემთხვევები ერთგვაროვანი არ არის. შეიძლება გამოიყოს რამდენიმე ქვეჯუფი:

1. ფორმები, რომელთაც საოპოზიციო ნეიტრალური ქცევა საერთოდ არ მოეპოვება და „ნეიტრალიზებული“ სასუბიექტო ქცევის ფორმა იკავებს მის ადგილს: გა-ი-აზრებ-ს, გა-ი-ანგარიშებ-ს, გა-ი-მეორებ-ს... გა-ი-ძახებ-ს, გა-ი-ხმობ-ს...

2. ფორმები, რომელთაც საპირისპირო ნეიტრალური ქცევის ფორმები მოეპოვება, მაგრამ შინაარსით იგივეა, რაც ნეიტრალური (სასუბიექტო) ფორმები: იწვევს (აწვევს), „და“ იპატიუებს („და“ ჰპატი-

უებს), „გაუითვლის (გათვლის)... „გაუიქნებს, „გაუიგნებს, „გაუიკლებს და მისთ.

3. ქცევის საოპოზიციო ცალები არსებობს, მაგრამ ისინი შინაარ-სობრივად (ძირითადი შინაარსის თვალსაზრისით) ერთ სიბრტყეში არ მდებარეობს, „აცდენილია“: გაიცინებს, გაიღიმებს, გაიღიძებს, დაიძინებს... უკუქცევითობის გაძლიერება აქ საერთოდ ობიექტის „შთანთქმას“ იწვევს. სხვა ფუნქციონალურ სიბრტყეში შეიძლება ისინი სრულფასოვან ქცევის ფორმებად წარმოგვიდგეს. შდრ.: გა-ა-ცი-ნებ-ს – გა-ი-ცინებ-ს (თაგს) – გა-უ-ცინებ-ს (ის მას გულს)...

4. ფორმები, რომელთა ერთი (უპირატესი) გრამატიკული შინა-არსი ვნებითის სემანტიკას უტოლდება: გაითრენს (გაუფრენს), გაიწ-კრიალებს... გაიბრახუნებს, გაიგახუნებს... გაიამინდებს, გაიაპრიალებს...

სხვაგვარ ფუნქციონალურ ოპოზიციაში ამ ფორმათა საქცევო პოტენცია რეალიზებულია. შდრ.: გა-ა-ცი-

ა-ო-ფრენ-ს – (ბუზცსაც არ) ა-ი-ფრენ-ს – (ოფოფებს)  
ა-უ-ფრენ-ს

გა-ა-ტყლაშუნებ-ს – (მათრახს) გა-ი-ტყლაშუნებ-ს – გა-უ-  
ტყლაშუნებ-ს...

ქებლის ახალ რედაქციაში არის მცდელობა, რომ, ერთი მხრივ, თანამიმდევრულობა იქნეს დაცული ქცევის „ცრუ“ ფორმათა წარმო-დგენისას, ხოლო მეორე მხრივ – დიფერენცირებულად იქნეს წარმო-დგენილი ქცევის „ცრუ“ და რეალიზებული ვარიანტები.

## მანანა ბუკია

### ქართველური ლექსიკა ვ. კასლანძიას „აფხაზურ-რუსულ ლექსიკონში“

ქართველურ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობების კვლევა სა-უკუნეზე მეტ ხანს ითვლის და სოლიდური ლიტერატურით არის წარმოდგენილი, მაგრამ გასაკეთებელი ჭერაც ბევრია.

ქართველურ-აფხაზური ლინგვოკულტურული ურთიერთობების კვლევისთვის ახალ საინტერესო მასალას იძლევა ვ. კასლანძიას

„აფხაზურ-რუსული ლექსიკონი“ (2005 წ., სოხუმი). იგი მოიცავს 30 ათასამდე სიტყვა-სტატიას, მასში შეტანილია დიალექტური, სასაუბრო, მოძველებული სიტყვები, ნეოლოგიზმები, ასევე აფხაზ მუჰაკირთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი ლექსიკა და ე. წ. „ტყის ენა“. მათ შორის გვხვდება 100-ზე მეტი ქართველიზმი, რომელიც წინა ლექსიკონში თუ ქართველურ-აფხაზური ლექსიკური ურთიერთობებისადმი მიძღვნილ სამეცნიერო ნაშრომებში ვერ მოხვდა.

ვ. კასლანძიას ლექსიკონში წარმოდგენილი უცნობი ქართველური მასალა საშუალებას იძლევა ახლებურად გაშუქდეს სესხების მიმართულება, ქრონოლოგია, ნასესხები ლექსემის ცხვივების სავარაუდო ეტაპები.

მოძიებული მასალა დაყოფილია რამდენიმე ნაწილად:

1. ახალი ფონეტიკური ვარიანტები, რომლებიც სხვა ლექსიკონებში არ გვხვდება:

**ა-ზარაბა „ზიარება“ – ა-ზარება** (ჯანაშია); **ა-კამპტრ „კონკოლი“** (< მეგრ. კამპარი) – **ა-ქამპტრ** (შაყრილი); **ა-კიგნონთხ** „კუთხე“ (< მეგრ. კუნთხუ) – **ა-კიგნონთხ** (ჯანაშია); **ა-ლალაჭირა „კიბორჩხალა“** (< მეგრ. ლაჭაჭირა) – **ა-ლალაჭირა** (ჯანაშია)...

2. ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენს სიტყვები, რომლებიც სხვა ლექსიკონებში არ გვხვდება და მკვლევრების ყურადღების მიღმაა დარჩენილი:

**ა-ბანდლ½ „სკანდალი“** < **ბანდლი** (მეგრ.) „დაგიდარაბა, ალიაქოთი“; **ა-ბაკუნ** „აფხაზური სახლის დირე“ < **ბოკონი** „მორის ბოქები, რომელზედაც დაყრდნობილია ფიცხული სახლის სასაძირკვლე დირეები“; **ა-ბგრზალ** „ორლესული შუბი“ < **ბორზალი** (მეგრ.), **ბოძალი** (ქართ.) „ორზევრა ისარი“; **ა-კადაც** „ქაცი“ < **კვადაცი** (მეგრ.) „ქაცი“; **ა-ტამბალ** (აბუ.) „მარტოხელა, ობოლი“ < **ომბოლი** (მეგრ.) „ობოლი“; **ა-ქიგვა** „კონუსის ფორმის კალათი თევზის დასაქერად“ < **ქუცე** (მეგრ.) „ფრინველის, ცხოველის დასამწყვდევი გალია“; **ა-ხარიალ** (აბუ.) „ქოლერა“ < **ხორიალე** (მეგრ.) „ქოლერა“

3. კომპოზიტები, რომლის შემადგენელ ნაწილები სხვა ლექსიკონებში გვხვდება, მაგრამ ახალ ლექსიკურ ერთეულად პირველად ვ. კასლანძიასთანაა წარმოდგენილი:

**ა-კაკანგბალ** „ნიგზის საწებელი“ < **ა-კაკან** „კაკალი“, **ა-სგბალ** „საწებელი“; **ა-მარგზლტაბა** „ატმის ჯიში“ < **მარგული** (მეგრ.) „შავი ქლიავი“, **ა-ტამა** „ატმი“; **ა-ჩეკუატალა** „ფარისებრი ჯირკვალი“ < **ა-ჩეკ** „ჩიყვი“, **ა-ტატალა** < **ოტოლე** (მეგრ.) „ჯირკვალი“.

4. სიტყვას ახალი, მანამდე უცნობი მნიშვნელობა შეუძენია:
- ბაპანწყვი „გაიძვერა“** (ბლაუბა) — „1. ჭოჭოხეთი, ქვესკნელი, 2. საშინელი, ძნელად მისაღწევი ადგილი, 3. საშინელება“ (კასლანძია). შედრ. **ბაპანწყვირი / ბაპანწყვილი** (მეგრ.) „წყლიანი ორმო; საშიში გუბე ძნელად გადასასვლელი; სახიფათო გზა, ადგილი“;
- ა-ლლაპ „ლლავი“** (ჯანაშია) — „უდიდესი ძალის მქონე ზღაპრული არსება“ (კასლანძია).

## თე ა ბურჭულაძე

### ერთი ტიპის პარატაქსული წინადადების შესახებ

პარატაქსულ წყობაში გვხვდება ისეთი ტიპის წინადადებები, რომელთა კომპონენტ წინადადებათა შესაკვრელად რომელიმე წევრის განმეორებასთან გვაქვს საქმე: „ორივენი დაწუმდნენ, ორივენი დარწმუნდნენ“ (ილია); „მე გლეხებაც გუშინდელი ბავშვივით კი არ შევხარი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრევავ“ (ილია).

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ შერწყმული წინადადება ზოგჯერ მომდინარეობს რთულ თანწყობილ წინადადებათაგან. ამის ნიმუშად მოჰყავთ ასეთი ტიპის წინადადებები: „და მეორემან შეირთო იგი და მოკუდა იგიცა“; „განიღვძა იოსებ ძილისა მისგან და ყო ეგრე..და წარიყვანა მან ცოლი თქსი“ (კიზირია, 1953). მსგავსი მაგალითები ახალ ქართულშიც გვაქვს:

„ორივენი ჩაჩუმდნენ და ორივენი მაინც კიდევ გაოცებულნი იმეორებდნენ ოცნებაში გუშინდელს საოცარს ამბავსა“ (ილია); „მეც ვიწვი, მეც ვიტანები“ (ყაზბ.); „ყველა საქვეყნო საქმეს ის ნათლავს, ისა ზრდის, ჰქვებავს“ (ჭავახ.); „მხოლოდ მან გასწია თეიმურაზის ავბედითი უღელი, მან გაიზიარა მისი ჭირი და ვარამი“ (ჭავახ.).

მიღებული თვალსაზრისით, გამეორებული ქვემდებარის ამოღებით (რაც ეკონომის შედეგია) გვრჩება შემდეგი სახის შერწყმული წინადადებები: ორივენი ჩაჩუმდნენ და მაინც კიდევ გაოცებულნი იმეორებდნენ ოცნებაში გუშინდელს საოცარს ამბავსა; მეც ვიწვი, ვიტანები; ყველა საქვეყნო საქმეს ის ნათლავს, ზრდის, ჰქვებავს....

ერთი შეხედვით, მსგავს წინადადებებში თითქოს რამდენიმე ქვემდებარეა, რომელთაც თავ-თავისი შემასმენლები მიემართება: **ორივენი** ჩაჩუმდნენ, **ორივენი** იმეორებდნენ; **მეც ვიწვი, მეც ვიტანები;** **ის** ნათლავს, **ის** ზრდის, **ის ჰქვებავს...** ამის მიხედვით დასახელებული ტიპი თანწყობილი წინადადებებია. შეიძლება კი ეს ჩავთვალოთ პარატაქსად? ვფიქრობთ, ამ წინადადებებში ქვემდებარები მხოლოდ გამეორებაა, ლექსიკური დატვირთვა აქვს და არა-გრამატიკული. სინამდვილეში აქ მხოლოდ ერთი ქვემდებარე გვაქვს, რომელსაც მიეკუთვნება შემასმენლები. ამიტომ ისინი შერწყმული წინადადებებია.

რაც შეეხება ისეთ წინადადებებს, სადაც ქვემდებარე მეორდება ნაწილადართული სახით, მათ დამოუკიდებლად ისედაც ვერ განვხილავთ, რადგან ასეთი ფორმები გულისხმობს იმას, რომ ამგვარივე სიტყვა პირველ წინადადებაშია, მისი ახსნა ამის გარეშე არ ხერხდება. მაგ., „უფალმან მომცა და უფალმანცა მიმიღო“. ამიტომ, ცალკე დამოუკიდებელი ქვემდებარების სახით მათი განხილვა არ გამოდგება და შესაბამისად, ვერც პარატაქსში გავაერთიანებთ.

## შალვა გაბესკირია

### ენათმეცნიერულ-ისტორიული მოსაზრებები ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომავლობის შესახებ

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით, ქართული სამეფო გვარებულობის საშობლო ისტორიული საქართველოს პროვინცია სპერია და მათი ბიბლიური მეფე დავითისგან წარმომავლობის გადმოცემას ისტორიული საფუძველი არ გააჩნია.

მოხსენებაში გვარსახელ ბაგრატიონის ეტიმოლოგისა და დინასტიის წარმომავლობაზე სხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ქართველ მეფეთა გვარის ამოსაგალი სახელის – ბაგრატის, ისევე როგორც ბაკურის, ირანულ წარმომავლობის ვერსია არ მართლდება. შესაძლოა, ისინი სპერის შავიზღვისპირა ზოლში მცხოვრებ ბექირთა სატომო სახელს უკავშირდებოდეს.

ბერძნი ისტორიკოსების ცნობით, „რიცხვმრავალი ბექირები“, „ბექირთა უსაზღვრო მიწა“; „ნავსადგური ბექირიკოსი, ელინური ქალაქი ბექირიასი“ (პერიპლუსი). ბექირ-ში, ისევე როგორც სხვა ეთნო-ნიმებში (ბიძერი, ფილირი, ეკექირი), შეიძლება, ერ-ირ ეთნოფორმანტი გამოიყოს. ბექირების სახელს უკავშირდება თურქულ ენებსა და სპარსულში „სპილენძის“ მნიშვნელობით ცნობილი სიტყვები.

ბექირის ზანურ ვარიანტ \*ბაქირ-ზე -ა ფორმანტის დართვით (შდრ. კახ-ა, რუს-ა, აფშილ-ა, აფხაზ-ა) მიღებულია მამაკაცის ან-თროპონიმი ბაქრა (XIV ს.), ამ უკანასკნელისაგან კი ნაწარმოებია გვარსახელები ბაქრაძე და ბარქაიძე.

ბაგრატიონთა სხვა საყვარელი სახელების მსგავსად (აშოტი, სუმბატი, ბივრატი) ჭანურისთვის დამახასიათებელი მკვეთრი ტ-ს დართვის შედეგად გვაქვს ბაგრატი. ასევე ბაქირ/ბაქურის აბრუპტივიანი ნაირსახეობა ბაკური.

მოხსენების ავტორის აზრით, შესაძლოა, შემოწმდეს ქართველი გვირგვინოსნების დავით წინასწარმეტყველთან ისტორიული კავშირის ვერსია:

ბაგრატიონების ბიბლიური მეფისგან მომდინარეობაზე წერენ: კონსტანტინე პორფიროგენეტი, სუმბატ დავითის ძე, მოვსეს ხოსენაცი და სხვები.

ქართველთა წინაპრების – ხეთების მეფე დავითის ზეობის პერიოდში (ქვ. წ. 1010-970 წწ.) პალესტინაში ბინადრობის ფაქტი. ცნობილია მეფე წინასწარმეტყველის ხეთებთან სიახლოეს. ისრაელის მეფების ლაშქარში მრავალად იყვნენ ხეთი მეომრები. მეფე დავითმა არა-მეელთა წინააღმდევ საბრძოლველად ხეთებთან დიპლომატიური ზავი დადო, ურია ხეთელი საბრძოლველად გაგზავნა და შემდევ მის ცოლზე დაქორწინდა, რომლისგანაც შეეძინა სოლომონი. შდრ. ქართული სამეფო გვარეულობის „დავითიან სოლომონიანად“ მოხსენიება.

მეფე დავითის მშობლიურ ბენიამინის ტომში არის ქართული ეთნონიმური და თეოფორული ანთროპონიმები: ბეხერი, როში, არდი – დაბადება თ. 46,21. ბეხერი და როში ეთნონიმებია: ბექირი და რუსი (შდრ. ე-რუშ-ეთ-ი, ძველი ქართული პირის სახელები: რუსი და რუსა), ხოლო არდი, რომელიც ურარტულში მნათობთა ღვთაების მნიშვნელობითაა ცნობილი, დაცულია როგორც ოკონიმებში ართვინი, ართაშენი, გვარსახელებში (არდიშვილი, არდია), ასევე ქართულ სიტყვა არდადეგში: „არდადეგი არს, რა მკათავეში მზე ლომზე შევალს, ვიდრე მის გამოცვლამდე ოცდაათი დღენი“ (საბა).

თუ გადმოცემული საზრისი სწორია, მაშინ ქართველი საჭეთ-მყრობელების ბიბლიურ დავითთან კავშირს ისტორიული გააჩნია და შესაბამისად ქართველ ბაგრატიონთა დინასტიას დაახლოებით 28 საუკუნის ისტორია აქვს.

## ე ლ ი ს ა ბ ე დ გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი

### ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა განაწილებისათვის ხმოვანფუძიან სახელებთან სვანურში

ნათესაობითი ბრუნვა სვანურში სხვა ბრუნვებისაგან განსხვავებით გამოირჩევა ალომორფთა მრავალფეროვნებით, რაც განპირობებულია თანხმოვნის წინა ხმოვნის სხვადასხვაობით. ბრუნვის ნიშნისეული თანხმოვანი არის -შ, რომელიც პრეპოზიციურ მართულ მსაზღვრელთან (ბალსქვემოური დიალექტის გარდა) ყველგან დაკარგულია. სახელის დამოუკიდებლად ბრუნვების დროს მორფების -შ ელემენტი ყოველთვის წარმოდგენილია.

თანხმოვნის წინა ხმოვნებია: -ა, -ე, -ი, -ო და -უ. ჩამოთვლილი ხმოვნები დიალექტების მხხედვით შეიძლება იყოს: გრძელი, მოკლე, უმღაუტიანი, უუმღაუტო და უმღაუტიანი გრძელი.

ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი ნათესაობითი ბრუნვის ამოსავალ ვარიანტად მიიჩნევს -იშ სუფექსს. მისი სახელის ფუძესთან შეხვედრისას, მორფემათა მიჯნაზე, დიალექტებში სხვადასხვა ფონეტიკური პროცესების მიმდინარეობის შედეგად ნათესაობითი ბრუნვის მორფების განსხვავებულ ვარიანტებს ვიღებთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ბალსქვემოური დიალექტის ზოგ კილო-თქმაში -ა ბოლოხმონიან სახელებთან მოსალოდნელი -აშ ალომორფის ნაცვლად უუმღაუტო -აშ გვხვდება, მაგ.: ცხუმ., ბექ., დინა, ნათ. დინ-აშ, შდრ. ეცერ., ლხმ. დინ-აშ „გოგოსი“; ცხუმ. უინა, ნათ. უინ-აშ, შდრ. ეცერ. ლხმ. უინ-აშ „ძერასი“; ცხუმ., ბექ. ლარდა, ნათ. ლარდ-აშ, შდრ. ეცერ. ლხმ. ლარდ-აშ.

ნათესაობით ბრუნვაში უმღაუტს არ ეჭვემდებარება ამავე კილო-თქმებში სახელის ბოლო -ო ხმოვანი, მაგ.:

ცხუმ., ბეჩ. **საბჭო**, ნათ. საბჭო-შ, შდრ. უმლაუტიანი ეცერ. ლხმ. საბჭუ-ეშ (< საბჭო + იშ) „საბჭოსი“; ცხუმ., ბეჩ. **ბესო**, ნათ. ბესო-შ, შდრ. ეცერ. ლხმ. ბესო-ეშ (< ბესო + იშ) „ბესოსი“; ცხუმ. ბეჩ. **აბანო**, ნათ. აბანო-შ, შდრ. ეცერ. ლხმ. აბანო-ეშ (< აბანო + იშ) „აბანოსი“...

რაც შეეხბა -უ'სა და -ი'ჲე დაბოლოებულ სახელებს, ისინი მთელს ბალსქვემოურში ნათესაობითში დაირთავენ -აშ ალომორფს, მაგ.: ტუნუ-აშ „ქოთნის“, ვურუ-აშ „ხვრელის“, მუშგრური-აშ „სტუმრის“, ბგგი-აშ „მაგარის“, რაც გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს.

ბალსქემოურში სახელის ბოლო -ო, -უ ხმოვნებს -იშ მორფემისეული ხმოვანი აუმლაუტებს და მიღებულ ო+ი > უე, უ+ი > უი კომპლექსისეულ ხმოვნებს აგრძელებს. შედეგად გვაქვს -ეშ, -იშ ნათესაობითი ბრუნვის ალომორფები, მაგ.: აბანო-ეშ „აბანოსი“, საბჭუ-ეშ „საბჭოსი“, ტუნუ-აშ „ქოთნის“, ვურუ-აშ „ხვრელის“...

ლაშხურში ბოლო -ო, -უ ხმოვნები ნათესაობით ბრუნვაში გრძელდებიან, მაგ.: ო + ი (< იშ); აბან-ოშ „აბანოსი“, ბეს-ოშ „ბესოსი“...

ლენტეხურ დიალექტში სახელის ფუნქციეული ხმოვნის მოძევნოდ ყველა შემთხვევაში -ეშ (<-იშ) ალომორფი იჩენს თავს, მაგ.: დენშ-ეშ „გოგოსი“, თხერე-ეშ „მგლის“, მუშებრი-ეშ „სტუმრის“, ჭონტო-ეშ „ვარიკის“, ტუნუ-ეშ „ქოთნის“...

ლენტეხურში არსებული ვითარება მხარს უჭერს ნათესაობითი ბრუნვის ამოსავალ ვარიანტად -იშ მორფების მიჩნევას.

ირკვევა, რომ ნათესაობითი ბრუნვის ალომორფთა მრავალ-ფეროვნებას განაპირობებს დიალექტთა მიხედვით მორფემათა მიჯნაზე მიმდინარე ფონეტიკური პროცესები.

გ ი ო ო გ ი გ ო გ ო ლ ო შ ვ ო ლ ო

### **ჰ- და ს- პრეფიქსთა ფუნქციისათვის ქართულში**

**ჰ- და ს-** პრეფიქსები ქართულში პირის ნიშნებად გაიაზრება. რა არის პირის ნიშანი?

— პირის ნიშანი არის ის აფიქსი, რომელიც ზმნის პირიან ფორმაში კონკრეტულ პირს მიემართება; ამ ნიშნის გარეშე ზმნური ფორმა შესაბამისი პირის გაგებას კარგავს (თუ პირის ნიშნის არქო-

ნას კონკრეტულ შემთხვევაში რაიმე მორფო-ფონოლოგიური საფუძველი არ გააჩნია).

მაგ.: **გ-წერ**  
**წერ-ს.**

**გ-** პრეფიქსის ჩამოშორება **გ-წერ** ფორმას პირველი პირის გაგებას დაუკარგავს, ისევე როგორც **-ს** სუფიქსის ჩამოშორებით დაიკარგება მესამე პირის გაგება. იგივე ითქმის ობიექტური პრეფიქსების თაობაზეც:

**გ-ხატავს, გგ-ხატავს**

**გ-ხატავს.**

**გ- და გგ-** პრეფიქსთა ჩამოშორება ზმნურ ფორმებს პირველი ობიექტური პირის გაგებას დაუკარგავს, **გ- ს** ჩამოშორება — მეორე ობიექტური პირის გაგებას.

შევნიშნავთ: ფონეტიკურ ნიადაგზე გაუჩინარებული **გ-** პრეფიქსის კომპენსაციას კონტექსტი ახდენს.

შესაბამისად, **გ-, ს-, გ-, გგ-** აფიქსები პირის ნიშნებია.

**გ- და ს-** პრეფიქსთა ვითარება სხვაგვარია. სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ „მე-2 პირის სუბიექტური ნიშანი არის ჰან მისი ბგერინაცვალი“ (ა.შანიძე), იგულისხმება ს-. ასევე, „მე-3 ირიბ-ობიექტური პირის ნიშანი არის ჰან მისი ბგერინაცვალი“ (ა.შანიძე), იგულისხმება ს-.

მეორე სუბიექტურ პირში შესაბამის გარემოცვაში **ჰ- და ს-** არმოდგენილია, თუმცა ხშირად არ ჩანს ფორმაში (მოსალოდნელ ფონეტიკურ სიტუაციაშიც), ამის გამო ნორმის მიხედვით არ არის სავალდებულო **ჰ- (ს-)** პრეფიქსთა დაცვა სუბიექტური მეორე პირის ფორმებში. თუმცა პარადიგმა ამგვარად გამოიყერება:

<b>გ-ქსოვ</b>	<b>გ-ცხოვრობ</b>
<b>ქსოვ    ჰ-ქსოვ</b>	<b>ცხოვრობ    ს-ცხოვრობ</b>
<b>ქსოვ-ს</b>	<b>ცხოვრობ-ს</b>

მეორე სუბიექტურ პირში პრეფიქსთა ქონა-არქონა სუბიექტურ პირზე მინიშნების თვალსაზრისით არაფერს ცვლის.

იგივე უნდა ითქვას მესამე ირიბ-ობიექტური პირის გამოხატვის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, ნორმის მიხედვით შესაბამის ფონეტიკურ გარემოცვაში პრეფიქსები წარმოდგენილი უნდა იყოს, პარადიგმა ასეთ სახეს იღებს:

<b>გ-პარავს</b>	<b>მ-ქულს</b>
<b>გ-პარავს</b>	<b>გ-ქულს</b>

**ჸ-პარაგს** || პარაგს      **ს-ძულს** || ძულს  
 გავითვალისწინოთ ისიც, რომ ჸ-/ს- პრეფიქსები ხშირად „აღ-ნიშნავს“ პირდაპირ ობიექტს, სადაც ნორმის მიხედვით არაა საჭირო:  
 მ-კლავს                          მ-წვავს  
 გ-კლავს                          გ-წვავს  
 კლავს || ჸ-კლავს                  წვავს || ს-წვავს  
 ღირსაცნობია ის ფაქტიც, რომ ჸ-/ს- პრეფიქსები გვხვდება ერთპირიან ზმნებშიც (III პირის ფორმებში), სადაც მათ მორფოლოგიური ფუნქცია არ გააჩნიათ:

გ-ყივი	გ-ტირი
ყივი (II ჸ-ყივი)	ტირი (ს-ტირი)
ყივი-ს    ჸ-ყივის	ტირი-ს    ს-ტირი-ს

ფაქტია: ახალ ქართულში პირის ნიშანთა სისტემაში ჸ- და ს-პრეფიქსები არ არის მორფოლოგიურად ტოლფასი სხვა პირის ნიშნებისა; ზმნის ფორმაში მისი მქონეობა არ არის მორფოლოგიურად შეპირობებული (აუცილებელი პირობა).

პრინციპული გვეჩვენება ძველი ქართულის ვითარებაც: ზედსართავის უფროობითი ხარისხის ფორმებში და ინიან ვნებითებში **ს-პ-** (ხანძეტ და ჰაემეტ ტექსტებში) პრეფიქსთა არსებობა დადასტურებაა იმისა, რომ მათი ფუნქცია მხოლოდ პირზე მინიშნება არაა. სანნარევ პერიოდში რომ აღარ გვაქვს ეს პრეფიქსები ზედსართავებსა და ინიან ვნებითებში, ფონეტიკის „ბრალია“; **უძვობეს** და **იყო** ფორმებში ისევე ივარაუდება ნულოვანი ალომორფი, როგორც **უკეთებს** და **ემალება** ფორმებში...

ძველ ქართულში საგულისხმოა || სუბიექტური პირის ბრძანებითის ფორმათა ჩვენებაც; გავიხსენოთ:

თხრ.: **ს-თქუ.** ჸ-კითხე. ბრძ.: თქუ! კითხე!

პირველ შემთხვევაში გვაქვს პრეფიქსები, მეორეში — არა, თუმცა პირიანობის თვალსაზრისით მათ შორის სხვაობა არ არის.

ყოველივე ზემოთქმული დადასტურებაა იმისა, რომ საანალიზო პრეფიქსთა მორფოლოგიური ფუნქცია არ არის მხოლოდ კონკრეტულ პირზე მინიშნება არც ისტორიულად და არც ამჟამად; მისი მქონეობა ზმნურ ფორმაში არ გულისხმობს კონკრეტული პირის (სუბიექტურისა თუ ობიექტურის) არსებობას.

ერთი მხრივ, ის ფაქტი, რომ კლასიკოსი მწერლები პრინციპულად მოითხოვენ ამ პრეფიქსთა დაცვას იმ შემთხვევებში, სადაც ნორმის მიხედვით მათი არსებობა არაა გამართლებული (იხ. გ. გო-

გოლაშვილი, არნ. ჩიქობავას საკითხავები XXI, 2010) და, მეორე მხრივ, ქართული ენის დიალექტებში დადასტურებული არაერთი ვარიანტი ჸ-/ს- პრეფიქსებისა (იხ. გ. გოგოლაშვილი, XXX დიალექტოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია, 2010) გვაფიქრებინებს, რომ ახალ ქართულში არატრადიციულად უნდა მოხდეს ამ პრეფიქსთა ფუნქციების გააზრება (უფრო სტილისტიკურ-სემანტიკური თვალსაზრისით).

## ტარიელ გურგენიძე

### იერარქიული მიმართება გრამატიკულ კლასებს შორის

ანდიური ენის მონაცემების გათვალისწინებით ხუნდური ენისთვის აღადგენერ 4-კლასოვან სისტემას:

მრ. რ.

<b>c<sub>1</sub></b>	<b>გ-აწად-ავ</b>	... * <b>გ-აწად-ალ</b> <b>C<sub>1</sub></b>
<b>c<sub>2</sub></b>	<b>გ-აწად-ავ</b>	... * <b>გ-აწად-ალ</b> <b>C<sub>2</sub></b>
<b>c<sub>3</sub></b>	<b>ბ-აწად-აბ</b>	... * <b>ბ-აწად-ალ</b> <b>C<sub>3</sub></b>
<b>c<sub>4</sub></b>	<b>*ბ-აწად-არ</b>	... <b>ბ-აწად-ალ</b> <b>C<sub>4</sub></b>

„სუფთა“, „წმინდა“

შემოგვაქს პირობითი აღნიშვნები **c<sub>i</sub>** (resp. **C<sub>i</sub>**).

„ზოგადი წესი“ (ტ. გურგენიძე 1984) საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ იერარქიული მიმართება **p** და **h** სიმბოლოებს შორის: თუ **p**  $\wedge$  **p** = **P** და **h**  $\wedge$  **h** = **H**, ხოლო **p**  $\wedge$  **h** = **P**, მაშინ **p** > **h** (ანუ, იერარქიულ სტრუქტურაში **p** უფრო მაღლა დგას, ვიდრე **h**). თუკი **p**  $\wedge$  **h** = **H**, მაშინ **h** > **p**; და ბოლოს, თუ **p**  $\wedge$  **h** = **P**, და **p**  $\wedge$  **h** = **H**, მაშინ საჭირო გახდება დამატებითი კრიტერიუმების შემოტანა (ტრანზიტულობის თვისება, დიაქტრონიული ნეიტრალიზაციის გათვალისწინება...). **p** და **h** სიმბოლოები ერთმანეთს  $\wedge$  „და“ ოპერატორით უკავშირდებიან. ჩაწერის გამარტივების მიზნით  $\wedge$  ოპერატორი შეიძლება გამოვტოვოთ, ანუ, შემოკლებით გვექნება **ph** [(**p**  $\wedge$  **h**)-ის ნაცვლად].

ამისავალ ოთხკლასიან სისტემაში მარტივ **c<sub>1</sub>**, **c<sub>2</sub>**, **c<sub>3</sub>**, **c<sub>4</sub>** სიმბოლოთა ორწევრა კომბინაციები, ჩვენი გარაუდით, ასე აღინიშნებოდა:

$$\begin{aligned}\{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3, c_1c_4\} &= C_1; \\ \{c_2c_2, c_2c_3, c_2c_4\} &= C_2; \\ \{c_3c_3, c_3c_4\} &= C_3; \\ \{c_4c_4\} &= C_4.\end{aligned}$$

„ზოგადი წესის“ მიხედვით გვექნებოდა:

$$\begin{aligned}\text{თუ } c_1c_1 &= C_1 \quad \text{და } c_2c_2 = C_2, \quad \text{ხოლო } c_1c_2 = C_1, \quad \text{მაშინ } c_1 > c_2; \\ \text{თუ } c_1c_1 &= C_1 \quad \text{და } c_3c_3 = C_3, \quad \text{ხოლო } c_1c_3 = C_1, \quad \text{მაშინ } c_1 > c_3; \\ \text{თუ } c_1c_1 &= C_1 \quad \text{და } c_4c_4 = C_4, \quad \text{ხოლო } c_1c_4 = C_1, \quad \text{მაშინ } c_1 > c_4; \\ \text{თუ } c_2c_2 &= C_2 \quad \text{და } c_3c_3 = C_3, \quad \text{ხოლო } c_2c_3 = C_2, \quad \text{მაშინ } c_2 > c_3; \\ \text{თუ } c_2c_2 &= C_2 \quad \text{და } c_4c_4 = C_4, \quad \text{ხოლო } c_2c_4 = C_2, \quad \text{მაშინ } c_2 > c_4; \\ \text{თუ } c_3c_3 &= C_3 \quad \text{და } c_4c_4 = C_4, \quad \text{ხოლო } c_3c_4 = C_3, \quad \text{მაშინ } c_3 > c_4\end{aligned}$$

ანუ, ამოსავალ სისტემაში (I ეტაპზე) იერარქიული სტრუქტურა ასეთი იყო:

$$c_1 > c_2 > c_3 > c_4$$

IV გრამატიკული კლასის გაქრობის შემდეგ ამ კლასში შემავალი სიტყვები გადავიდნენ III კლასში, ხოლო  $c_4c_4$  კომბინაციის გამოხატვა იკისრა  $C_3$  ფორმამ. განვითარების ამ საფეხურზე გვექნებოდა:

$$\left. \begin{aligned}\{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3\} &= C_1 \\ \{c_2c_2, c_2c_3\} &= C_2 \\ \{c_3c_3\} &= C_3\end{aligned} \right\} C_4 \quad \text{II ეტაპი}$$

II ეტაპზე  $C_1, C_2, C_3$  ფორმების პარალელურად იხმარება უფუნქციოდ დარჩენილი  $C_4$  ფორმა. თუ არ გავითვალისწინებთ  $C_4$  ფორმას, მაშინ „ზოგადი წესის“ მიხედვით II ეტაპზე ასეთი იერარქიული სტრუქტურა ივარაუდება:  $c_1 > c_2 > c_3$ . და ბოლოს, თანდათან განდევნა რა პარალელური  $C_1, C_2, C_3$  ფორმები, III ეტაპზე  $C_4$  ნებისმიერი კომბინაციის აღმნიშვნელ ერთადერთ ფორმად მოგვევლინა:

$$\left. \begin{aligned}\{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3\} &= \\ \{c_2c_2, c_2c_3\} &= \\ \{c_3c_3\} &=\end{aligned} \right\} C_4 \quad \text{III ეტაპი}$$

თუ დავუშვებთ უშუალოდ I ეტაპიდან მომდინარე IV სისტემას, სადაც  $C_1, C_2$  და  $C_3$  ფორმები გამჭრალია და შემორჩენილია ერთადერთი  $C_4$  ფორმა, რომელიც ნებისმიერ კომბინაციას აღნიშნავს

$$\left. \begin{aligned}\{c_1c_1, c_1c_2, c_1c_3, c_1c_4\} &= \\ \{c_2c_2, c_2c_3, c_2c_4\} &= \\ \{c_3c_3, c_3c_4\} &= \\ \{c_4c_4\} &=\end{aligned} \right\} C_4 \quad \text{IV ეტაპი}$$

ამ შემთხვევაში IV ეტაპზე დიაქრონიული ნეიტრალიზაციის მომენტის გათვალისწინებით  $c_4$  უნდა იყოს გაბატონებულ მდგომარეობაში დანარჩენი ( $c_1, c_2, c_3$ ) სიმბოლოების მიმართ:  $c_4 > c_1, c_4 > c_2, c_4 > c_3$  (ტ. გურგენიძე 2010). IV ეტაპიდან მარტივად მოხდებოდა გადასვლა III ეტაპზე (IV გრამატიკული კლასის გაქრობის შედეგად).

თუ ვიგარაულებთ, რომ ამოსავალ სისტემაში „ზოგადი წესი“ არ მოქმედებდა და  $C_1, C_2, C_3, C_4$  ფორმებით მხოლოდ ერთკლასოვანი ( $c_i c_j$  სახის) კომბინაციები იღინიშნებოდა, მაშინ არაერთკლასოვანი (მრავალკლასოვანი)  $c_i j$  სახის კომბინაციებისთვის დამატებითი \* $C_5$  ფორმის არსებობაც უნდა დავუშვათ:

$$\left. \begin{aligned}\{c_1c_1\} &= C_1 & \{c_1c_2, c_1c_3, c_1c_4\} &= \\ \{c_2c_2\} &= C_2 & \{c_2c_3, c_2c_4\} &= \\ \{c_3c_3\} &= C_3 & \{c_3c_4\} &= \\ \{c_4c_4\} &= C_4\end{aligned} \right\} *C_5 \quad \text{IV ეტაპი}$$

IV გრამატიკული კლასის მოშლის შემდეგ უფუნქციონ დარჩენილმა  $C_4$  ფორმამ შეცვალა \* $C_5$  და თავის თავზე იღინიშნებოდა, არაერთკლასოვანი (მრავალკლასოვანი) კომბინაციების აღნიშვნა:

$$\left. \begin{aligned}\{c_1c_1\} &= C_1 & \{c_1c_2, c_1c_3\} &= \\ \{c_2c_2\} &= C_2 & \{c_2c_3\} &= \\ \{c_3c_3\} &= C_3\end{aligned} \right\} C_4 \quad \text{IV ეტაპი}$$

IV ფორმის მიერ სპეციფიკური  $C_1, C_2, C_3$  ფორმების განდევნის შედეგად აღვილად მოხდებოდა IV ეტაპიდან III ეტაპზე გადასვლა.

თეორიულად ასეთი ამოსავალი სისტემის დაშვებაც შეიძლება:

$$\left. \begin{aligned}\{c_1c_1\} &= C_1 & \{c_1c_2, c_1c_3, c_1c_4\} &= \\ \{c_2c_2\} &= C_2 & \{c_2c_3, c_2c_4\} &= \\ \{c_3c_3\} &= C_3 & \{c_3c_4\} &= \\ \{c_4c_4\} &= C_4\end{aligned} \right\} *C_5 \quad \text{IV ეტაპი}$$

ამ შემთხვევაში  $c_4c_4$  კომბინაციის აღმნიშვნელი  $C_4$  ფორმა პარალელურად აღნიშნავდა ნებისმიერ არაერთკლასოვან (მრავალკლასოვან) კომბინაციასაც. IV ეტაპზე „ზოგადი წესის“ მიხედვით  $c_4 > c_1, c_4 > c_2, c_4 > c_3$ ; ხოლო  $c_1, c_2$  და  $c_3$  სიმბოლოებს შორის ამავე წესით ვერ დავადგენთ იერარქიულ მიმართებას. IV გრამატიკული კლასის მოშლის შემდეგ მოხდებოდა IV ეტაპიდან IV ეტაპზე გადასვლა, საიდანაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადგილია III ეტაპზე გადასვლა.

ზემოთ წარმოვადგინეთ განვითარების ოთხი ვარიანტი:

$$\begin{aligned}I - II - III &\dots \text{ № 1} \\ I - IV - III &\dots \text{ № 2}\end{aligned}$$

I – II – III ... № 3

II – III ... № 4

ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ № 1 ვარიანტს, რომლის მიხედვით „ზოგადი წესი“ მოქმედებდა ამოსავალ სისტემაში (I ეტაპზე) და შუალედურ საფეხურზეც (II ეტაპზე).

თამარ ვაშაკიძე

## წყევლა-მუქარის, ფიცისა და ლოცვის ფორმულები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში

საქართველოს ერთ-ერთი დიდი პროგინციის აღეკვატურად ასახდესას დ. კლდიაშვილი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს პერსონაჟთა მეტყველებას. ეკონომიკური უძლურების მძაფრი განცდა შეიგრძნობა გმირის თითოეულ სიტყვასა თუ წინადადებაში (დიალოგსა თუ მონოლოგში).

დამაკნინებელი ცხოვრების ორომტრიალში ჩაბმული ადამიანების ტრაგედია ყველაზე ნათლად მათსავე საუბარში მულავნდება. ამ მხრივ საინტერესო ჩანს წყევლა-მუქარის, ფიცისა თუ ლოცვის ფორმულათა შესწავლა-ანალიზი. „ჩათას ნაყოფი არა აქვს... თაგს ვეღარ ვრჩენულობთ, წელში ვწყდებით მუშაობით, მარა არა გამოდის რა...“ — ეს არის მიზეზი დ. კლდიაშვილის პერსონაჟთა წყევლისაც, მუქარისაც, ლოცვისაც...

წყევლა-მუქარა თუ ფიცი, როგორც ერთგვარი შვება (თუ თავდაცვის საშუალება), ხოლო ლოცვა, როგორც განსაცდელისაგან საიმედო თავშესაფარი, მწერლის პერსონაჟებისათვის ყოველდღიური ცხოვრების ატრიბუტად ქცეულა.

გამწარებული და დაბეჭივებული (ხშირად გაბოროტებული) ადამიანისათვის წყევლის აღმსრულებლად მოიაზრება უფალი, რომელმაც, მათი სიტყვებით, უნდა დალახვროს, მოსპოს, გაწყვიტოს, შეაჩვენოს ადრესატი (ის, ვის მიმართაც წყევლა წარმოიქმის). მაწყევარისაგან კი დაუზოგად იწირება და ილახვრება ეშმაკიც, ადამიანიც, რჩულიც, სახლ-კარიც, დღეცა და საათიც („დასწყევლა ღმერთმა ის დღე, როცა მაგ ოხერი იმ ჯავებში დასახლდა“; „დას-

წყევლის ღმერთმა ეშმაკი და მისი მონაწილეც“; „დალახვრათ ჩემმა გამჩენმა“; „გოუწყრა მაგათ ჩემი გამჩენი“; „გაგაონა დამბადებელმა არაფერი, ჩემი დარიგება შენ ვერ გეიგონე“; „დასწყევლა და მოსპომა ზეციერმა“...).

პერსონაჟები იწყევლებიან ღმერთის მოხსენიების გარეშეც. ასეთ შემთხვევებში სიტყვათა მყარი შესამების სახელურ კომპონენტებად ძირითადად დასტურდება: **მიწა** („თქვენ გაგიწყდათ მიწა“...), **სახელი** („მოსპომა თქვენი სახელი“...), **რჯული** („ამოგარდა მაგათი რჯული“...), **თავი** („მაგას გოუსკდა თავი“...), **თვალები** („მაგას დოუდგა თვალები“...) და სხვ.

ზოგჯერ წყევლის ფორმულაში (რომელიც რთული ქვეწყობილი წინადადებით გადმოიცემა) ისიც ჩანს, თუ რის გამო, რა საქციელი-სათვის იწყევლებიან უმწევე მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანები („აოხრდა თქვენი პატრონი, რაგარც აქაურობა ააოხრეთ“; „მოისპომა თქვენი პატრონი ისე, რაგარც ეს ჩემი ნაშრომი მოსპექტ და გააქრეთ“...).

წყევლას კიდევ უფრო ამძაფრებს ერთი და იმავე სიტყვების გამეორება („თქვენი სიკვდილი, თქვენი არ გადარჩენა“, „თქვენ გაუწყდით თქვენს პატრონს, თქვენი არ გადარჩენა“; „თქვენ გაუწყდით თქვენს პატრონს, თქვენ“, მიწა დაგეყარათ გასაწყვეტლებს, მიწა“; „შენ დაგეწვა ეს თავი, შენ დაგეწვა ეს გვერდები, ეს, ეს“; „შენ დაგეწვა სიცოცხლე, შე წყეულის შვილო, შენ დაგეწვა სული და ხორცი“, „ერთ დღესაც გაწყვეტილან ყველა, ვისაც არ ვებრალებით, ყველა ერთ დღეს გაწყვეტილან“...).

გმირის გაუსაძლისი მდგომარეობა, წუხილი თუ სატკივარი ხშირად ოხერითა და მუქარით გამოიხატება. ასეთ შემთხვევებში თავად პერსონაჟი გვევლინება მოქმედების ინიციატორ-შემსრულებლად: „ვისგანაა, ერთი მაცოდინა ეგ ყველაფერი? ვისგანაა შემზადებული, მანახა, რომ ამ ხელებით სული გავაცებინო, წითლად შევღებო, ენა ამოვგლიჭო ძირიანად, ოხ მე, ოხ მე!“ ან კიდევ: „მე ოვუხელ თვალებს, თუ კაცი ვარ; მაცადეთ, მალე ყველას გაგიჩენთ მუხლებში კანკალს! მალე!“

ზოგჯერ ფიცი და მუქარა ერთმანეთს ერწყმის: „ჩემს მოხუცებულობას ვფიცავ, მარინეს რომ ცუდი რამე შეამთხვიოთ, ვერც დედა და ვერც შეიღლი ცოცხალი ვერ გადამირჩებით“ (თუმცა ძალაგამოლეულ და უიმედო აზნაურებს არც ფიცისა და არც მუქარის აღსრულება არ ძალუმთ).

იფიცებიან დ. კლდიაშვილის გმირები ყოველ წუთსა და წამს, იფიცებიან დაუფიქრებლად, გაუცნობიერებლად, იფიცებიან ტყუილსა და მართალზე: იფიცებენ **ღმერთს** („ღმერთს ვფიცავარ, გასაოცარად დაგშვენდება“...), **შშობლების სულს** („შენ სრულად წაგებული არ იქნები, დედის სული არ წამიშყდეს“...), **ძმობა-მეგობრობას** („ძმობას ვფიცავარ, მე ვნინობ, რატომ შევგირ მაგ საჭმეს“...), **ცოლ-შვილს** („შენ არ მომიკვდე... ცოლ-შვილი არ დამეხოცოს“...), **საკუთარ თავს** („მე არ მოვკვდე, ბესარიონ, შენ ასე იაფად ვერ იშოვო სიძედ მისთანა ყმაშვილი“...). ასეთივე გატაცბით აფიცებენ სხვებსაც („შენს ცოლ-შვილს გაფიცებ, იმ შენს საყვარელ ქალიშვილს გაფიცებ, რომლის ბედნიერებას ასე მწარედ ეჩქარები, ხომ არავინ შემოგძლევია ამ დღეებში?“), მაგრამ არაგულწრფელია მათი ფიცი... ეჭვს იწვევს...

„გმადლობ უფალო!“ — ხშირად იმეორებენ დ. კლდიაშვილის პერსონაჟები შემაძრწუნებელი შიშისაგან თავდასალწევად. გაიტანენ დლევანდელ დლეს უიმედოდ დარჩენილი აზნაურები თუ ამოწყდებიან? გაუმკლავდებიან გაუსაძლის შიმშილსა და სიღატაკეს თუ დაიქცევიან სამუდამოდ? — ისინი უძლურნი არიან, ამ კითხვებზე პასუხი გასცენ ან რაიმე მოიმოქმედონ უმწეო მდგომარეობიდან თავის დასალწევად. მათ ეს არ ხელეწიფებათ, მათი შრომა-წვალება უშედეგოა. ამ გაჭირვებას მამაზეციერმა უნდა მიხედოს. „ამაზედაც გმადლობო“ — ამიტომ იმეორებენ ასე ხშირად ისინი, თუმცა ამ სიტყვებში წყენა მეტია, ვიდრე მაღლიერება.

ახლა უკვე შველა-გადარჩენას (და არა ვინმეს მოსპობა-განადგურებას) სოხოვენ ისინი გამჩენს („ღმერთმა ყოველივე მწუხარება გაშოროს“; „ღმერთმა პირნათლად გამყოფოს“; „ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს“; „ღმერთმა გიწინამძღვროს“...). მათს ვედრებას კიდევ უფრო აძლიერებს ერთი და იმავე სიტყვების რამდენჯერმე გამეორება (როგორც ეს წყველის დროს იყო): ..ღმერთმა მოგცეს, შვილო, ღმერთმა მოგცეს“; ..ღმერთმა გაგახაროს, შენი ჭირიმე, ღმერთმა გაგახაროს“; ..ღმერთმა ნუ დაგივიწყოს, შვილო, ყოველივე სიკეთე, ღმერთმა ნუ დაგივიწყოს“... თუმცა მათი ლოცვაც ხშირად არაგულწრფელია.

იწყევლებიან, იმუქრებიან, იფიცებიან და ილოცებიან დ. კლდიაშვილის პერსონაჟები — სასოწარკვეთილნი, უმწეონი, უქონელნი... გაუფასურებულია მათი საჭმეც და სიტყვაც.

## მაკა თეთრაძე

### ბაცბურ ერთმარცვლიან CV და VC ტიპის სახელურ ფუძე-თა კლასიფიკაციისათვის

1. ბაცბურში სახელურ ფუძეთა განხილვისას გამოიყო VC და CV ტიპის ერთმარცვლიანი ფუძეები შემდეგი ნაირსახეობებით: а) VC, V<sub>გ</sub>C, V<sub>ლ</sub>C, VCC, V<sub>ლ</sub>CC, VCCC. ამავე ტიპში შევიყანეთ V<sup>ტ</sup> სახის სამი ფუძე, რომლებიც აღიდგენენ ფუძის ბოლო თანხმოვანს. VC ტიპის სულ 27 ფუძე გამოიყოფა, რომელთა უმეტესობა ნასესხებ სიტყვებად ითვლება. ამ ტიპის ფუძეთა ნაირგარობას ქმნის ერთი მხრივ, ანლაუტის ხმოვანი, რომელიც თავისი ბუნებით შეიძლება იყოს: მარტივი, გრძელი ან დიფთონგი, მეორე მხრივ კი, აუსლაუტის თანხმოვანკომპლექსები, რომლებიც ძირითადად ორწევრაა (11) და ერთი ქართულიდან შესული VCCC ტიპის ფუძე — „ანწლ“.

2. CV ტიპის ერთმარცვლიანი ფუძეები წარმოდგენილია შემდეგი ნაირსახეობებით: საკუთრივ ცალი თანხმოვნისა და ხმოვნის ერთობლიობით, სადაც სადა ხმოვნის (24) გარდა ფუძე შეიძლება ბოლოვდებოდეს ნაზალიზებულ ხმოვაზე (17), დიფთონგსა (15) და გრძელ ხმოვაზე (2). ასევე ერთმარცვლიანი ფუძის ანლაუტში შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი ან სამი თანხოვანი ერთად. სულ CV ტიპის (CV, CV<sub>გ</sub>, CV<sup>ტ</sup>, CCV, CCV<sup>ტ</sup>, CCCV, CCCV<sup>ტ</sup>) 85 სტრუქტურული ერთეული დავითვალეთ, სადაც ასევე უმრავლესობა ნასესხები სახელია.

3. შედარების მხრივ CV ტიპის ფუძეები, რომელთა აუსლაუტი სადა ხმოვნითაა წარმოდგენილი, ბაცბური ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს მიეკუთვნება. ფუძეებს ექებნებათ შესატყვისები სხვა ნახურ ენებში. რაც შეეხება ნაზალიზებული ხმოვნით დაბოლოებულ ფუძეებს, ისინი შეიძლება ორ ჯგუფად დაყოოთ: 1. ქართულიდან (ან ქართულის გზით) შესული CVS ტიპის ბოლოკიდურა სონორით წარმოდგენილი ფუძეები, რომლებიც CV ტიპის გამხდარან ბაცბური ენის ბუნებიდან გამომდინარე. 2. ფუძეები, რომელთაც სხვა ნახურ ენების მასალასთან შეპირისპირებისას ფუძის ბოლოს აღუდგებათ თანხმოვანი.

სპეციალურ ლიტერატურაში ასევე განხილულია CV<sub>ლ</sub> ტიპის ფუძეები, რომელთა რეკონსტუქციისასაც CVC ტიპი აღდგება (რ. გაგუა, ლ. სანიკიძე). ამგვარად, CV ტიპის ფუძეთა გაანალიზებისას

ამოსავლად ისევ ამ ტიპის სტრუქტურა მხოლოდ ერთეულ სახელებში აღდგება.

4.CV და VC ტიპის ფუნქციებში წარმოდგენილი თანხმოვანკომპლექსები შემდეგ ნაირგვარობებს გვაძლევს: ა) ის ორწევრა კომპლექსები, რომლებიც ჭართულიდან შესულ ფუნქციებს დაუცავს: აუსლაუტში — CS, CSp, SpSp, ანლაუტში — SSp, CS, SpSp, SpC, SpS. ბ) საკუთრივ ბაცბურ სახელებში წარმოდგენილია შემდეგი ორწევრა თანხმოვანკომპლექსები: აუსლაუტში — SC, CSp, ანლაუტში — SpC, CSp, CC (1).

სამწევრა კომპლექსები მხოლოდ ნასესხებ სახელებშია დაცული სხვადასხვა მიმდევრობის თანხმოვნებით, თუ არ ჩავთვლით „ფსტუ“ სახელს, სადაც ისტორიულად ორწევრა კომპლექსი შპჩ გამოიყოფა.

## ვაჟტანგ იმნაიშვილი

### ძველი ქართული ენის ლექსიკიდან

#### 8. მანდა

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია: „**მანდ** — მაგავე ადგილს.“

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მიხედვით, „**მანდ, მანდა** ნიშნავს: „იმ ადგილს, სადაც იმყოფება ის პირი, რომელსაც მიმართავენ“.

როგორც წესი, **მანდა** არაა ახსნილი ძველი ქართულის ლექსიკონებში (მათ შორის ძველ ტექსტებს დართულ ლექსიკონებშიც). მიიჩნევენ, რომ მას უძველეს ქეგლებში დღევანდელი მნიშვნელობა ჰქონდა და, ამდენად, განსამარტავი არაფერია.

„შუშანიკის წამებაში“ არის ასეთი ადგილი: „და ჩუენ-ღა ამას განვიზრახევდით, მოვიდა ყრმად ერთი და თქუა: „იაკობ მანდა არსა?“ და მე ვარქუ: „რად გინებს?“ და მან მრქუა: „უწესს პიტიახში“. რატომ არ შეიძლება, ვარსკენის მიერ გამოგზავნილ კაცს ეკითხა: „იაკობი აქ არის?“ განა ეს უცნაურად უღერს?

ანალოგიური შემთხვევა გვაქვს „ვეფხისტყაოსანში“:

„ძოლან ხელქმნილსა გიჭვრეტდი კუბოსა შიგან მჯდომია, მანდა ყველაი მასმია, რაცა შენ გარდაცხდომია“ (378,4).

„ვეფხისტყაოსნის“ ათ ხელნაწერში (**FIJKLORTZY**) **მანდა** ენაცვლება „აქა“, ეს ფაქტი ჩვენი შემთხვევისთვის საგულისხმო ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლევა: გამოდის, რომ V საუკუნეშიცა და შუა საუკუნეებშიც **მანდას** შეიძლებოდა ჰქონიდა „აქ“ ზმინზედის მნიშვნელობა.

ძველ ტექსტებში **მანდა** მეტწილად დღევანდელი მნიშვნელობით იხმარებოდა: „ნუ შთაპერდები წყალსა მაგას შიდა, რამეთუ ბოროტ არიან მჯეცნი ეგე, რომელნი იყოფიან **მანდა შიდა**“ („წამებად წმიდისა თეკლაძეს“); „პრქუა მას დედაკაცმან მან: „რად გნებავს, შემოვედ და მაუწყე მე, ხოლო მე **მანდა** არა მოვალ“ (იოანე მოსხი, „ლიმონარი“); „პრქუა მას კაცმან მან, რომელმან მიმიყვანა მე: „შემოსლვად გუნებავს **მანდა**, განგზლე და შემოვიდეთ“. მიუგო კაცმან მან შინაგანით და პრქუა: „ვერვინ მათგანი შემოვალს ადგილსა ამას“ (იქვე).

ზოგიერთ შემთხვევაში **მანდა** თანაბრად შეიძლება მიესადაგოს როგორც „მანდ“, ისე „აქ“ ზმინზედები, ზოგან კი უფრო ადვილია **მანდას** მნიშვნელობის ცალსახად დადგენა, რადგან ტექსტში პირდაპირი დაპირისპირებაა აქა და **მანდა** ზმინზედებისა: „მიუძღვნ ღმერთი ამათ აქეთ და **მანდა**“ („მოქცევად ქართლისად“); ოდეს-იგი გამოხუდით სიმრავლე ქალაქისად და ეძიებდით ღმერთთა მათ თქუენთა, ... მაშინ მე **მანდა** ვიყავ (იქვე b). უფრო ძველ a რედაქციაშია: მაშინ მე **მუნ** ვიყავ“.

ამათ გვერდით გვხვდება ისეთი მაგალითები, რომლებშიც **მანდა** ზმინზედას დღევანდელის საპირისპირო გაგება აქვს და „აქა“ შეესატყვისება: ქვემოთ მოხმობილი ყველა ნიმუში **მანდას** ჭეშმარიტი მნიშვნელობის დასადგენად შედარებულია ბერძნულ, გერმანულ და რუსულ ტექსტებთან. ასე რომ, ორაზროვნება აქ გამორიცხულია:

„მაშინ მოვიდა იესუ დაბასა მას, ... და პრქუა მათ: დასხედით **მანდა** ვიდრემდე მივიდე იქი და ვილოცო“ (მათე 26,36); „პრქუა მათ მოსე: დევით **მანდა** და ვისმინო, რად-ძი ბრძანოს უფალმან თქუენთკს“ (რიცხულთა 9,8); „პრქუა აბრაკამ მონათა თჟთა: დასხედით **მანდა** კარაულსა თანა და მე და ყრმად ესე წარვიდეთ ვიდრე იქიმდე და თაყუანის-ესცეთ და მოვაქციოთ თქუენდავე“ (დაბადება 22,5. ასეა A და S ხელნაწერებში. C და B ხელნაწერებში კი მას სინონიმური „აქა“ ცვლის: „დასხედით აქა“); გეტყვ თქუენ ჭეშმარიტად: „არიან ვინმე **მანდა** მდგომარეთაგანნი, რომელთა არა იხილონ გემოვ

სიკუდილისამ, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღმრთისამ“ (ლუკა 9,27); „აწ დაადგერით **მანდა** თქუენცა ღამესა ამას და ვცნა, რამ შესძინოს უფალმან თქუმად ჩემდა მომართ“ (რიცხუთა 22,19 გელათ); „პრქუა მოსე ძეთა გადისთა და ძეთა რუბენისთა: მმანი თქუენნი ვიდოდინ ბრძოლად და თქუენ ჰსხდეთ **მანდა?**“ (რიცხუთა 32,6 გელათ); „პრქუა იესუ მოწაფეთა თვისთა: დასხედით თქუენ **მანდა** წუთ ერთ, ვიდრემდე მივიდე და თაყუანის-ვსცე“ (მარკოზ 14,32). უკანასკნელი ნიმუში ლატალის ხელნაწერიდან არის დამოწმებული. სხვა ხელნაწერებში, მათ შორის ადიშურ რედაქციაშიც, **მანდა** არ გვხვდება. შესატყვის ადგილას იქ გვაქვს: „დასხედით **აქა**“.

ეს მაგალითი მეტად საყურადღებოა. ჩანს, IX საუკუნის მიწურულისთვის, როცა ქართულ ოთხთავებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ხნოვანი ადიშის სახარება გადაიწერა, **მანდას** ხმარებას დღევანდელი მნიშვნელობით საფუძველი მოერყა (ბუნებრივია, თავდაპირველად ზეპირ მეტყველებაში, შემდეგ კი წერილობით ძეგლებშიც), რაკი ადიშის რედაქციის გადამწერმა იგი „აქა“-თი შეცვალა. საფიქრებელია, რომ იმ დროისთვის ზოგიერთი ძეგლის გადამწერმა ხელი არ ახლო **მანდას** და ეს ფორმა უცვლელად, ძველი სახით დატოვა. სხვებმა კი, **მანდას** ომონიმურ ბუნებას რომ შეცდომაში არ შეეყვანა მკითხველი, თავი აარიდეს ამ ორსახა ზმნიზედას და კარგად გაკვალული გზით ამჯობინეს ამ მერყეობისთვის მოევლოთ — ერთხელ და სამუდამოდ **აქა** დაამკვიდრეს.

გრაცში დაცულ ერთ X საუკუნის ხელნაწერს შემოუნახავს იოვანე-ზოსიმეს ანდერძი: „წმიდანო მამანო, შემინდვეთ. ამის უამისწირებისა დედასა მრავალი განგებად და ლოცვები და სიტყუები აქლდა თავითგან ვიდრე დასასრულამდე, ვითა მე ვიცოდე მოძღუართაგან და ჩემთა უამისწირვათა შინა ეწერა და ვერ დიად ჩემისა გულისამ იყო. ხოლო ვინ **მაწერიებდა**, მეგედრებოდა ფრიად, რამთა რამ **მაგას შინა სწერია**, იგიამ თდენ დამიწერე. აწ იგიამ თდენ დამიჩრეკია დიად გულისკლებითა, ყოველი დაკლებულებად ჩემი შემინდვეთ, ღმრთისათკს“. ზოგი გადამწერი, ალბათ, არ ემორჩილებოდა ამ ბრძანებისმაგვარ ვედრებას და, მიუხედავად დაუინებული მოთხოვნისა, მაინც თავისი თანადროული ფორმებით ცვლიდა მისი აზრით მოძველებულებს.

მაშასადამე, ძველ ქართულში **მანდას** ჰქონდა როგორც **მანდ**, ასევე, შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც, **აქა** ზმნიზედის მნიშვნელობაც. როცა ენაში ერთი სიტყვა ორ სხვადასხვა ცნებას გადმო-

სცემს, ერთმანეთთან შეუთავსებელს, აღრევა რომ არ მოხდეს, ეს ორსახოვნება უნდა მოიშალოს, მოისპოს. ჩვენს შემთხვევაშიც, ვფიქ-რობ, ასე მოხდა. ერთ სიტყვაში ჩადებული ორი ერთმანეთის საპი-რისპირო შინაარსის გასამიჯნავად **მანდა** ოდნავ სახეცვლილი ფორმით, ბოლოკიდური ა-ს მოკვეცით, მაგრამ ძველი შინაარსით შემორჩა ენას, ხოლო პირველი პირის სიახლოვის მაჩვენებლად ახა-ლი სიტყვის შემოტანა ენაში საჭირო აღარ გამხდარა, რადგან მასში ოდითგანვე იყო დამკვიდრებული სათანადო შინაარსის შემცველი ზმნიზედა **აქა**.

## ლ ე ვ ა ნ კ ე ლ ა უ რ ა ძ ე

### საერთოქართველურ ჰარმონიულ კომპლექსთა შესატყვისობათათვის ბურუშულსა და ბასკურ ენებში

იმ საერთოქართველური ჰარმონიული კომპლექსების ფარდად, რომელთა პირველი წევრიც სიბილანტია (ძღ, ცხ, ჩქ, შხ, შქ...), ბუ-რუშულ და ბასკურ ენებში (ინდაუტსა და აუსლაუტში) შესაბამისი რიგის სიბილანტური სპირანტისა და ყრუ არაასპირირებული ველა-რული ხშულის კომპლექსები (ბურ. sk, šk, ბასკ. zk, sk) ვლინდება.

მაგალითები:

ს.-ქართვ. \*ბურჩ- > ქართ. ბურჩი : ბურ. *musk* „ტყე, ტევრი, ეკალბარდი“, *muşqu* „ფოთლიანი ტოტები (მოჭრილი, ცხვრის საკვე-ბად)“ : ბასკ. *muskil* „1. ყლორტი; რტო; 2. ნაყოფი, მოსავალი“; *mo-skildu* „ტევრი, ხშირი ბურჩარი“ (მდრ. ბრაუნი 1998);

ს.-ქართვ. \*ზიზღ-//სისხ-///\*წიწე- (?) > ქართ. ზიზღ-ებ-ა (საბა) „ჭამა ეავოს“, სისხი (ბ. ჩუბინ., დ. ჩუბინ.) „ხუსტური, სიანჩხლე; კაპრიზ“; ზან. (მეგრ.) წიწე- „აზიზი; ზიზლიანი; წუნია“; სვან. სისკ „ზიზღი, სიძულვილი“ (?) : ბასკ. *siska* „კაპრიზი, ახირება“, *xixa-ka* „ცუდი განწყობა; უსიამოვნება, ზიზღი, შური...“;

ს.-ქართვ. \*ლაძღ-//ლაზღ- > ქართ. ლანძღ-ვ-ა „გინება“, ლაზღ-ანდარა „ულაზათო, უხამსი ოხუნჯი“... : ბასკ. (ბ., ზნ.) *lazka* „არეუ-ლობა; კონფლიქტი“, *lazkatu* „არევა“, *lazkeria* „უხეშობა (სიტყვით ან ქმედებით)“;

ს.-ქართვ. \*სუსხ-//\*შუშხ- > ქართ. სუსხი „მძაფრი, მწვავე სი-ცივე — ყინვა“, და-სუსხ-ავ-ს „აუწვავს (კანს — ჭინჭარი); დააზრობს, დაწვავს (სუსხი, ყინვა — მცენარეს); და-შუშხ-ავ-ს (პირს, ენას... ცხარე რამე); იგვეა, რაც დასუსხავს“; (გურ.) და-შუშხ-ვ-ა „დასუსხვა, კანის დახეთქვა სიცივისა ან ქარისგან“, (იმერ.) შუშხი „ძლიერ შევი, დამწვარი“, შუშხი-ია „ჭინჭარი“, შდრ.: (ქეგლ.) შუშხ-ს მისცემს (საუბრ.) „გაუჭავრდება, დატუქსავს, შეახურებს“ (> შუშხი (ფშ.) „შიში, მორიდება“ — შიშხ-ათ-ი (გურ.) „დაშინება სიმკაც-რით“?); (ნ. ჩუბინ., დ. ჩუბინ.) სისხ-ა, სისხ-ამ-ი „შემწველი სიცივა“ : ბასკ. *suski-tu* „ყინვისგან ხელებისა და ფეხების გაშეშება (?) ; სეტყვის მიერ ბოსტნეულის განადგურება“;

ს.-ქართვ. \*ფარცხ- > ქართ. ფარცხი-ი „იარალი ხნულის ბელტის დასაშლელად, მიწის გასათხევირებლად“; ზან. (მეგრ.) ბუცხ-ა/ბირცხ-ა „ფრჩხილი“, (ლაზ.) ბუცხ-ა „ფრჩხილი, ფოცხი“; სვან. ლა-ფცხ-ირ, ლა-ფცხ-ირ... „ფოცხი“, ნა-ფაცხ, ნა-ფაცხ-ტ..“ნაფარცხი“ : ბურ. *phask* „ფარცხი“;

ს.-ქართვ. \*ცოცხ-//ცოცხ1ხ- > ქართ. ცოცხი-ი (საბა) „მოსაგვე-ლი“, (ბ. ჩუბინ.) „ბალახი, რომლისაგან შეიქმონენ საგველსა; ეწოდება თ' თ მას საგველსაც“; (დ. ჩუბინ.) „მცენარე, რომლისაგან შეიქმონენ საგველსა; ან თვით საგველი“; ზან. (მეგრ.) ცოცხი-ი „ცახი (= ბა-ლახეული კონა ან ფოთლებიანი ფაზხი, რომელსაც უდებენ აბრეშუ-მის ჭიას პარკის გასაკეთებლად)“; [მეგრ.] (დადასტურებული აჭა-რულსა და გურულში) ჩორჩხ-ი, ჩორჩხ-ვ-ა; სვან. ჩხჩხ, ჩეჩხ „ცოცხი“ : ბასკ. (ზნ., ქნ.) *zuzki*, (ბ., ქნ.) *izuzke*, *izuzki*, (ბ., გ., ზნ.) *itsuski*, (ბ.) *itxuski*, *itxuski*, (ბ., ქნ.) *xuxki* „ცოცხი“;

ს.-ქართვ. \*წყალ- // წყალ-ობ-ა, შე-წყალ-ებ-ა; ზან. (მეგრ.) ჭყოლ-ოფ-უ-ა „ჭყალობა“ : ბასკ. *esker*, *eskar* „მადლიერება; (ვიღაცის, რაღაცის) ჭყალობით; ჭყელმოქმედება, საჩუქარი; ღვთაებ-რივი მადლი“ (ფურნე 1989).

## ციცინო კვანტი ალიანსი

### წმინდა და წმიდა ფორმათა მონაცემებისათვის

ბოლო რამდენიმე წელია წმინდა და წმიდა ფორმები აღრეულია. ერთმანეთის გვერდით გამოიყენება წმინდა — წმიდა და ამ ფუძიდან ნაშარმოები ფორმები: წმინდანი — წმიდანი, ყოვლად წმინდა — ყოვლად წმიდა, სულიწმინდა — სულიწმიდა, უწმინდესი — უწმიდესი და სხვა.

თანამედროვე ქართულის ვითარება ასეთია: სასულიერო ლიტერატურის გარდა, ყველგან გამოიყენება წმინდა, შესაბამისად, წმინდანი, უწმინდესი, ყოვლად წმინდა ფორმები.

წმიდა ფორმა უმეტესად გამოიყენება სასულიერო ლიტერატურაში. წერენ: წმიდა მამები, წმიდა მოწამე, წმიდა გიორგი, წმიდა სინოდი, უწმიდესი წმიდანად შერაცხა და სხვა.

ჩვენი აზრით, უმჯობესია წმიდა, წმიდანი, ყოვლად წმიდა და მსგავსი ფორმები გამოიყენებული იყოს ციტატებში, თუ ის წმინდა წერილიდან ან სხვა რელიგიური ხასიათის თხზულებიდან იქნება მოყვანილი, რადგან ძველ ქართულში ასე იყო. დანარჩენ შემთხვევაში კი გამოიყენოთ ნ-სონორიანი ფორმები: წმინდა, წმინდანი, ყოვლად წმინდა. ე.ი. ვწეროთ ახალი ქართულით, ძველი ქართულის ფორმები კი გამოიყენოთ ციტატებში.

ვფიქრობთ, საჭიროა კიდევ რამდენიმე დაზუსტება. ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში სულიწმიდაა მოცემული. დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ალბათ შეიძლება პარალელური ფორმის დაშვება. სულიწმინდა ფორმა უკვე ფართოდ არის გავრცელებული. სულიწმინდა სულიწმიდა ფორმების თანაარსებობა დასაშვებად მიგვაჩინია.

რაც შეეხება ყოვლად წმინდა ფორმას, ვფიქრობთ, ეს უკვე გაკომპიტიტებულია და მსგავსად სულიწმიდისა შეიძლება ერთად იწერებოდეს: ყოვლად წმინდა.

წმიდათა წმიდას შემთხვევაში კი ალბათ უმჯობესია ეს ფორმა ისევე იწერებოდეს, როგორც არის ორთოგრაფიულ ლექსიკონში: წმიდათა წმიდა. მართალია, ნ-სონორიანი ფორმებიც საკმაო სიხშირით გამოიყენება, მაგრამ ჯერჯერობით წმიდათა წმიდა ფორმაც მყარად ინარჩუნებს თავის უპირატესობას.

კიდევ ერთი პატარა დაზუსტება: საქმიანდ ხშირად ამოკლებენ წმინდა ფორმას. წერენ: წმ. გიორგი, წმ. მახარებელი, წმ. მოციქულები. ჩვენი აზრით, ასეთი შემოკლება არ არის მიზანშეწონილი, ერთგვარ უხერხულობასაც კი იწვევს. ვფიქრობთ, წმინდა ფორმა სრულად უნდა იწერებოდეს. წმ. არის წამის შემოკლებული ფორმა. ორი სხვადასხვა სიტყვის ერთნაირი დაწერილობა კი სწორად არ მიგვაჩინია. თანაც წმინდა ისედაც პატარა სიტყვაა და მისი სრულად დაწერა სირთულეს არ წარმოადგენს.

### გუჩი კვარაცხელია, ლევან ვაშაკიძე

#### ბიძინა ფოჩხუას თეზაურუსი, როგორც ქართული ენის შინაარსობრივი ბლანის პარადიგმატული მოდელი

პროფ. ბ. ფოჩხუამ ცხოვრების უკანასკნელი 15 წელი ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონის შედგენას მიუძღვნა. მან მარტომ შეასრულა უაღრესად მასშტაბური სამუშაო იმ პირობებში, როცა ლექსიკოგრაფიული მასალის ავტომატური მოპოვებისა და დამუშავების არავითარი საშუალება არ ასეებობდა ჩვენში. მეცნიერმა კარგად იცოდა, რომ ამგვარი ლექსიკონის დასრულება და გამოცემა ერთი აღამიანის შესაძლებლობებს აღემატებოდა. იგი წერდა: „იდეოგრაფიული ლექსიკონის შედგენა-გამოცემა კიდევ რომ დაგვიანდეს, კარტოთეკა მაინც გაუწევს დახმარებას მათ, ვისაც თანამედროვე ქართული ენის ლექსიკაში – როგორც იგი წარმოდგენილია ქეგლში – მოესურვება ამა თუ იმ თემასთან დაკავშირებული სიტყვების გაცნობა“. და მართლაც, წლების მანძილზე გაუწევია ეს დახმარება ჩვენი კოლეგებისათვის „მასალებს ქართული იდეოგრაფიული ლექსიკონისათვის“ – ასე უწოდებდა თავის ნამოღვაწარს ავტორი.

უშუალოდ თეზაურუსის შექმნას წინ უძლოდა ბ. ფოჩხუას მაღალიირებული და ჩვენს სინამდვილეში უნიკალური ნაშრომები, რომ არათერი ვთქვათ მის მონოგრაფიაზე („ქართული ენის ლექსიკოლოგია“, 1974), რომლის შესახებაც თინ. შარაქენიძე წერდა: „ეს შინაარსით უაღრესად დატვირთული ნაშრომი, თანაბარი უფლებით შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც თეორიულ ენათმეცნიერებას, ისე

ქართული ენის ლექსიკოლოგიის სფეროს... ეს მონოგრაფია თამამად გაუწევს მეტოქეობას ევროპულ ენებზე დაწერილ საუკეთესო ლექსიკოგრაფიულ გამოკვლევებს". მოყვანილი შეფასება განვლილმა ათწლეულებმა დაადასტურა.

ბიძინა ფოჩხუამ თავის მიერ შექმნილი სინკრიტიკური სქემა დაუდო საფუძლად ქეგლის მთელი მასალის სისტემატიზაციას. შედეგად მივიღეთ თეზაურუსი, რომელშიც ექვსპლიციტურად ასახულია ლექსიკურ ერთეულთა შორის პარადიგმატული სემანტიკური კავშირები – საერთო თემატურ თუ საზრისულ მაჩვენებლებთან დაკავშირებული სიტყვების გაერთიანება ველებში. ამავე გზით განისაზღვრება თითოეული ლექსების ადგილი საზრისთა სისტემურად ორგანიზებულ კონტინუურში. მნიშვნელოვანია გაიხაზოს, რომ ამ საერთოენობრივ თეზაურუსში ყოველი სიტყვა შეპირისპირებულია მთელს ლექსიკონთან და მისი განსაზღვრა შესაძლებელია ქართულ ენაში გამოხატულ მნიშვნელობათა სრული მოცულობის საფუძველზე: ყოველი სიტყვა ხასიათდება იმ სემანტიკურ ველთა ერთობლიობით, რომელშიც იგი შედის. როგორც ვხედავთ, თეზაურუსული მეთოდით სიტყვის მნიშვნელობათა აღწერა განსხვავებულია ქეგლში მოცემული აღწერისაგან, რომელიც ლექსიკურ მნიშვნელობათა კომპონენტურ ანალიზს უფრო მისდევს.

ბიძინა ფოჩხუას გარდაცვალების (1981 წ.) შემდეგ ზოგადი ენათმეცნიერების განყოფილებამ გამოსაცემად მოამზადა და დაბეჭდა „თანამედროვე ქართული ენის იდეოგრაფიული ლექსიკონი, I“ (რედაქტორები: ლ. აბულაძე, ლ. ენუქიძე, მ. მაჭავარიანი, თ. შარაძენიძე – მთ. რედაქტორი), სადაც წარმოდგენილია არაცოცხალი ბუნების, მცენარეებისა და ცხოველების ამსახველი ლექსიკის იდეოგრაფიული დახასიათება. ეს სამუშაოც „მანუალური წესით“ შესრულდა და მისი განხორციელება წარმოადგენლად შრომატევადი აღმოჩნდა. რომ არა რედაქტორთა უანგარო ენთუზიაზმი, გარდაცვლილი კოლეგის დიდი პატივისცემა და სიყვარული, შესაძლოა წიგნს ვერც ეხილა მზის სინათლე.

დღეს ვითარება შეცვლილია იმ თვალსაზრისით, რომ ბ. ფოჩხუას სინკრიტიკი სქემისა და მისივე ხელით ქეგლში შეტანილი კოდური სისტემის ავტომატიზების გზით შექმნილია ლექსიკონის ელექტრონული სამუშაო ვერსია საძიებო პროგრამითურთ (ლ. ვაშაკიძე), რაც შედგომ მუშაობას საგრძნობლად გააადვილებს.

მოხსენების ბოლოს წარმოდგენილი იქნება აღნიშნული ელექტრონული ვერსია.

## რომან ლოლუა

### კავკასიის ალბანური ანბანის ასო-ნიშანთა რაოდენობის დადგენისათვის

ცნობილია კავკასიის ალბანური ანბანის მხოლოდ ორი ავთენტური და, საფიქრებელია, სრული ნუსხა. ისინი წარმოდგენილია: XV ს. მატენადარანის (ეჩმიაძინის) №7117 ხელნაწერში, რომელიც 1937 წელს ეჩმიაძინში იღ. აბულაძემ მოიძია და XVI ს. ასევე სომხურ ხელნაწერში, რომელიც იქნა აღმოჩენილი 1956 წელს აშშ-ში არმენოლოგ ა. ქურდიანის მიერ. უკანასკნელი ნუსხა №7117 ხელნაწერში წარმოდგენილი ალბანური ანბანის ასლი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ ორივე ნუსხაში ასო-ნიშანთა რაოდენობა 52-ს შეადგენს, თუმცა ალბანურ პალიმფსესტში მხოლოდ 49 ასო-ბერა გვხვდება [გაბერტი, შულცე, ალექსიძე, მაე 2009: II 4-6]. აქედან, შესაძლებლად გვესახება მატენადარანისა და ა. ქურდიანის ხელნაწერთა 46 გრაფემის იდენტიფიკაცია პალიმფსესტის შესაბამის ნიშნებთან (3 ნიშნის გრაფიკული იდენტიფიკაცია, ჩვენი აზრით, გარკვევას მოითხოვს), ხოლო ერთი ასო-ბერაც (№32 „კად“ ქადაგის დასტურდება კავკასიის ალბანურ ეპიგრაფიკაში, კერძოდ წარწერაში №2 კრამიტის ნატეხზე).



**გრაფიტი №2 კადიტის ნატეხზე** საყურადღებოა სხვა კუთხითაც. ს. მურავიოვის აზრით, წარწერა წარმოადგენს ალბანური ანბანის ფრაგმენტს (№29-33), მაგრამ აღნიშნავს, რომ გრაფიტის ავტორმა №32 ასო-ბერის მაგიერ შეცდომით გამოსახა მასზე №34 [მურავიოვი 1981: 280-281].

ჩვენ ვიზიარებთ ს. მურავიოვის მოსაზრებას, თუმცა, ვფიქრობთ, რომ წარწერის ავტორს არ დაუშვია შეცდომა. ჩვენი აზრით, მატენადარანის ნუსხაში ეს გრაფემა დამახინჯებული სახით გვხვდება – ქადაგი (№32): საკარისია ავტიოთ მისი მარტენა კაუჭი, რომ მივიღოთ წარწერის მე-4 გრაფემა. აღნიშნული ნიშანი არ შეიძლება ჩაითვალის ალბანური ანბანის №34-დ (ქადაგი). იგი არ არის თავშეკრული

და დამატებითი მარჯვნივ მიმართული ხაზი აქვს.

უნდა ვივარაუდოთ, რომ იმ ჭურჭელზე, რომლის ნატეხიც შემოგვრჩა, გამოსახული იყო ალბანური ანბანი მთლიანად. გამომდინარე იქიდან, რომ ნატეხზე პირველი ნიშნის წინ ცარიელი ადგილია, შესაძლებელია, რომ მასზე წარმოდგენილი ანბანი გაყოფილი იყო მონაკვეთებად. მაინც რამდენ გრაფემიანი მონაკვეთები გვქონდა? თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველი გრაფემა ალბანური ანბანის №29-ს წარმოადგენს, წინ უნდა გვქონოდა 28 ასო-ბგერა ან შესაძლოა მეტი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ნაკლები. ეს მოსაზრება ემყარება იმ ფაქტს, რომ მატენადარანის ხელნაწერში, სხვა ალფაბეტების გაღმოცემისას არ გვაქვს არც ერთი შემთხვევა ზედმეტი ნიშნის ჩამატებისა (გარდა არაბულისა, სადაც ორგერ მეორდება ერთი და იგივე ასო-ბგერა), დაკლების შემთხვევები კი ხშირია. 28 იყოფა 2-ზე, 4-ზე, 7-ზე და 14-ზე. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ თითოეული მონაკვეთი 5-6 გრაფემაზე ნაკლები არ შეიძლება ყოფილიყო (ნატეხზე გამოსახულ ნიშანთა რაოდენობა). აქედან გამომდინარე, დალაგების პრინციპი უნდა ყოფილიყო 28X2, 14X4 ან კიდევ 7X8 და ჯამი იქნება 56. შესაძლებელია, ბოლო მონაკვეთი ყოფილიყო ნაკლული, მაგრამ ჩვენ სავარაუდოდ მაინც ვიღებთ 55-56, შლრ. ზ. ალექსიძის თვალსაზრისის: „ალბანურ ტექსტში გრაფემათა საერთო რაოდენობა უნდა ყოფილიყო 54-56“ [ალექსიძე 2003: 151]; ა. აბრა-მიანიც მიიჩნევდა, რომ სომხურ, ქართულ და ბერძნულ ალფაბეტთა ანალოგით, სადაც რიცხვით მნიშვნელობების გადმოცემის მიზნით ასო-ბგერათა რაოდენობა იყოფილია 9-ზე, ალბანურშიც უნდა გვქონოდა 54 გრაფემა [აბრამიანი 1964: 34].

სამეცნიერო ლიტერატურაში სხვაგვარი შეხედულებაც გამოითქვა ამ წარწერის წაკითხვის შესახებ, მაგ., შეიძლება ალინიშნოს, რომ ა. აბრამიანი წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: **მაღარ „უბადრუკი“** [აბრამიანი 1964, 58-59].

გ. კლიმოვის წაკითხვა: **მანა/ე/** (საკუთარი სახელია, მკვლევრის აზრით) [კლიმოვი 1967: 78].

3. შულცე ასე კითხულობს: **მანა/ე/** (საკუთარი სახელი ?) [შულცე 2005: 18].

ვერ გავიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებებს: წარწერის მე-2 და მე-4 ნიშნები შეუძლებელია ალბანური ანბანის №1 **ჯ**, ასო-ბგერად მივიჩნიოთ. ეს ნიშნები მოხაზულობით განსხვავდებიან: პირველ შემთხვევაში გრაფემას ზედმეტი, მარჯვნივ მიმართული ხაზი აქვს, ხო-

ლო მეორე ნიშანი გახსნილი ზედა რგოლით ხასიათდება. ასევე, ჩვენი აზრით, შეუძლებელია წარწერის მე-5 ნიშნის იდენტიფიკაცია როგორც №42 **ბ** ასო-ბგერასთან (█) [აბრამიანი 1964: 58-59], ისე №43 **ჯ** ნიშანთან (Σ) [კლიმოვი 1967: 78].

## ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი - ს უ ბ ა რ ი

### სუბგატეგორიათა ომონიმისა და მათი სემანტიკური ურთიერთშემიქართებისათვის სვანურ ენაში

ერთი და იგივე ზმნური ფორმა, ფრაზა ან წინადადება ზოგადი ლინგვისტიკის პოზიციებიდან სხვადასხვა კონტექსტში შეიძლება იყოს ევიდენციალური (მორფოსინტაქსური კატეგორია) ან ადმირატიული (სემანტიკური კატეგორია), რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამ კატეგორიებისთვის ძირითადი ბაზა საერთოა — პერფექტულ დრო-კილოთა ფორმები. ამ თვალსაზრისით სვანური გამონაკლისი არ არის — ის (ისევე, როგორც დანარჩენი ქართველური ენები) მიეკუთვნება იმ ენათა რიცხვს, რომლებშიც პერფექტი სრულად არის განვითარებული, ფუნქციურად დატვირთულია და რთულია ზღვრის გავლება ევიდენციალობის კატეგორიასა და სემებს შორის, რადგან ისინი უმეტესად ერთსა და იმავე ზმნურ ფორმებს იყენებენ.

ამ კუთხით ადმირატიკის განსაკუთრებული სიახლოეს იკვეთება ისეთ ევიდენციალებთან, როგორიცაა: კონკლუზივი, ინფერენტივი და გადმოცემითობა. მათი, როგორც ტექსტური კატეგორიების, ურთიერთგამივნა შესაძლებელია მხოლოდ ამ ფუნქციენთა არსისა და ზოგად ლინგვისტიკაში მიღებული ინტერპრეტაციების სრულად გათვალისწინებით კონტექსტის ფარგლებში.

**ირიბი ევიდენციალობა** აუცილებლად გულისხმობს მთქმელის-თვის ინფორმაციის წყაროს არსებობას, ამ ინფორმაციის არაპირდაპირ აღმულობას, თუმცა ეს წყარო შეიძლება იყოს როგორც სხვა პირი (შესაძლოა, იმპერსონალურიც), ასევე თავად სუბიექტის (მთქმელის) გონება-ცნობიერება-მეხსიერება, რის საფუძველზეც აკეთებს იგი გარკვეულ დასკვნას და გვაწვდის მოგვიანებით გათავისებული (და არა მოვლენის თანადროული) ინფორმაციის სახით.

**ადმირატიული მნიშვნელობა** კი გულისხმობს, რომ მთქმელი თავად არის ინფორმაციის მფლობელი, ინფორმაცია ასახავს საქმის ობიექტურ ვითარებას და არის სრული (ამ თვალსაზრისით ადმირატიულობა ერთიანდება პირდაპირევიდენციალობასთან). აღქმის პირდაპირობა-ირიბობასთან ერთად, ამ მოდალობების გასამიჯნავად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის დეტალი, რომ „ადმირატიულობა შეიძლება აღწეროთ მხოლოდ როგორც ობიექტური სინამდვილის გამოვლენა (აღმოჩენა) მეტყველების მომენტში“. ადმირატიულობისა და პირდაპირევიდენციალობის ოპოზიცია კი შეიძლება აღიწეროს როგორც „მზაობა/არამზაობა აღქმისთვის“ (კოზინცევა). ადმირატიული მნიშვნელობის შემთხვევაში „ინფორმაცია მთქმელისთვის ახალია და არ არის ინტეგრირებული მისეულ საყიდოს სურათში“ (დელესი). მისი სემანტიკა უმეტესად დაკავშირებულია გაკვირვების გამოხატვასთან სწორედ თქმის მომენტში.

ასე მაგალითად: წინადადება პეტრე ფ'ახსიპა („პეტრე წაქცეულა“)! **ადმირატიულია**, თუ მთქმელი თავად წაადგა თავს წაქცეულ პეტრეს; თუმცა იგივე ტექსტი ირიბევიდენციალურია სხვა სიტუაციებში: ა) **კონკლუზიურია** თუ მთქმელი მოვლენის შემსწრე კი არ არის, არამედ შეამჩნია, რომ პეტრეს ტალაზიანი ტანსაცმელი აცვია და ამ ფაქტის განზოგადებით აკეთებს დასკვნას; ბ) **გადმოცემითა**, თუ მთქმელი მას სხვისგან მიღებულ (გაგონილ...) ინფორმაციად გვაწვდის.

## კობა მითაგვარია

### ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის ძირითადი ტერმინები ადილეურ ენაში

1. ფერთა აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ყოველი ენის ლექსიკური ფონდის უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ადილეურ ენაში, ფერთა აღმნიშვნელი სიტყვების ისეთი სიმრავლე არა გვაქს, როგორც — ქართულში.

2. აქრომატული ფერების („თეთრი“, „შავი“, „რუხი“) აღმნიშვნელი ძირეული სიტყვები ადილეურში კომპოზიტებია (შდრ. ქართულის ვითარება).

**ჭევები** „თეთრი“; **ფე** „ნათელი“ (ეს ძირი ცალკე არ იხმარება) + სუფიქსი შვ.

**ბუგწა** „შავი“, „მუქი“ (ა. აბრეგოვი ამ ფუძეს ასე აანალიზებს ცაბ „ფერი“ + პწა „შავი“).

**ჭარა** „შავი“, რომელიც გამოიყენება ტყავის ფერის აღსანიშნავად, თურქულიდან არის ნასესხები (შდრ. თურქ. kara „შავი“, „მუქი“).

**უაგვაზ** „რუხი“ (უაგვა „რუხი“ + ცაბ „ფერი“).

3. ქრომატული ფერებიდან, ადილეურში სპექტრის შვიდი ფერიდან გვაგდება სამი ფერი.

**ღაჟგა** „ყვითელი“, „ნარინჯისფერი“; ამ სიტყვის ღაჟგ „გაშრობა“, „გახმობა“, „გამხმარი ბალაზის ფერი“. ქ. ლომთათიძის მიხედვით, ამ სიტყვის პირველი ნაწილი უკავშირდება ქართულ ჭვ-ს სიტყვაში უვითელი; უ — დერივაციული სუფიქსია.

**ჭანტრა** „მწვანე“, „ცისფერი“, „რუხი“. ადილეური ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ეს ტერმინი ქრომატულთან ერთად აქრომატულ ფერსაც გამოსცემს, რაც უდაოდ საინტერესოა და ადილეური ენის თავისებურებას წარმოადგენს.

ტერმინი **კაშხგი** „ცისფერი“, „ლურჯი“, „მწვანე“ (შდრ.: ჟხ-გ „მწვანე“), ფართო სემანტიკური ველით ხასიათდება. საყურადღებოა, რომ ანალოგიური ვითარება გვაქს მეგრულში და ქართული ენის ზოგ დასავლურ დიალექტში (ე. ი. „მწვანე“ და „ლურჯი“ ფერი ერთი სიტყვით აღინიშნება).

**ფლგუგ** „წითელი“, **ფლგ** „წითელი“ + სუფიქსი ჟ. **ფლგ** დამოუკიდებლად არ იხმარება. გ. როგორც საანალიზო ფუძეში გამოყოფს გაქვავებული კლასის ნიშანს ფლ-(<ბ>) და ლგ- „სისხლი“ ძირს.

ტოლადშერწყმული ფუძეების მქონე კომპოზიტია „ნარინჯისფერის“ აღმნიშვნელი ტერმინი ღაჟგ-ჭანტრა: ღაჟგ „ყვითელი“ + ჟვ ფლ „ვარდისფერი“, რაც აშკარად გვიანდელი მოვლენაა.

4. ნაირგარი ელფერის აღმნიშვნელი ყველა სიტყვა ნაწარმოებია (კომპოზიტი თუ დერივატი).

ა) აქრომატული ფერები

**ჭეჭგბზ** „ქათქათა თეთრი“, **ბზ** სუფიქსის მეშვეობით გადმოიცემა აღმატებითი ხარისხი.

**უაგვაზ** „მეტისმეტად რუხი“, უკველად კომპოზიტია.

**მაჟასზ** „ნაცრისფერი“, **მაჟა** „ნაცარი“ + ცაბ „ფერი“

**ჭაპწა** „მუქი“, „მუქი ნაცრისფერი“, „მუქი ლურჯი“ ესეც კომპოზიტი უნდა იყოს.

**სგრგებ** „ღია ნაცრისფერი“, მიიჩნევა თურქულ ნასესხობად (შდრ. თურქ. *sari* „ყვითელი“, „მკრთალი“ + ადიღ. **ტ(გ)** „თეთრი“, „ნათელი“) (ა. შაგიროვი).

ბ) ქრომატული ფერები

**ღაუგბზ** „ხასხასა ყვითელი“; **ღაუგ** „ყვითელი“ + სუფიქსი **ბზ** გაღმოცემა აღმატებითი ხარისხი.

**ღა** სხვა კომპოზიტებში აღნიშნავს „წითურს“ (მაგ. **შეღა** „წითური“ ცხენის შესახებ).

**შეცვეს** „მწვანე“; **შეცვ** „ბალახი“ + **ს** „ფერი“ (შდრ. მეგრ. დოლოშევრი „მწვანე“, „ბალახს ფერი“).

**ფლგეგბზ** „ხასხასა წითელი“; **ფლგეგ** „წითელი“ + სუფიქსი **ბზ**.

**დგსპს** „ოქროსფერი“; **დგსპ** „ოქრო“ + **ს** „ფერი“

**ს** „გლგვ“ „ჭრელი“; **ს** „ფერი“ + **დგვ** „ჭრელი“ (ზედმიწ. „ფერი ჭრელი“);

**წაფლგ** „წითური“; **წა + ფლგ** „წითელი“

**შაფლგ** „ვარდისფერი“; **შა + ფლგ** „წითელი“.

საინტერესოა **მჟარა**, რომელიც აღიღეურად „ღია ცისფერს“ აღნიშნავს, ხოლო ყაბარდოულად — „მუქ ყავისფერს“.

თეზისებში დაფიქსირებული მასალა, ბუნებრივია, სრულად ვერ მოიცავს ჩერქეზულ ენათა ფერის აღმნიშვნელ ლექსიკას. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ძირითადი ტერმინები წარმოვადგინეთ. საკითხის გამოწვლილვით შესწავლა მომავლისათვის ივარაუდება.

## მერაბ რობაჭიძე

### „ალდატ“ („ალდაჭ“) სიტყვის სემანტიკისათვის ძველ ქართულ ენაში

(ქართულ-სომხურ ენობრივ ურთიერთობათა შუქზე)

1. ქველი აღთქმის ერთი ადგილი გვაწვდის ასეთ პასაუს: „დაეშენოს **ალდატსა**, ქუეყანასა უდაბნოსა, ქუეყანასა შინა მარილიანსა, რომელი არა დაიმკვდრების“ (მცხეთ. ბიბლ. იერ. 17,6). ჩვენს ინტე-

რესს იწვევს სიტყვა „**ალდატი**“, რომელიც აქვე ახსნილია, როგორც დაუმკვიდრებელი, გაუდაბურებული და მარილიანი მიწა. სხვა შემთხვევაში „**ალდატის**“ სინონიმი — „**მარილოვანი**“ მოწოდებულია როგორც „უდაბნო და მარილოვანი ქუეყანა“ (იობ. 39,6); „**მარილიანი**“ („**მარილოვანი**“) არის არა მხოლოდ „ქუეყანა“, არამედ „წყალი“: ვერცა ერთი წყარომ მარილიანსა და ტქბილსა წყალსა აღმოცენებად (იაკ. 3,12).

2. ყველა ამ შემთხვევეში „**ალდატისა**“ და „**მარილიანის**“ („**მარილოვანის**“) შესატყვისად სომხური ბიბლიის შესაბამისი წიგნები გვაწვდიან ერთსა და იმავე სიტყვას აღსაყენი [ალტალტ(უკ)]-ს, რაც განიმარტება როგორც **ჭარბი მარილის შემცველი მიწა**.

3. საყურადღებოა, რომ ჩვენ მიერ ზემოთ წარმოდგენილი ბიბლიის მცხეთური ვარიანტის იერებისა (17,6) წიგნის მიერ მოწოდებული „**ალდატი**“ სხვა ვარიანტებში გვაძლევს „**ალდაჭს**“: უფრო მეტიც: ამავე მაგალითში ბიბლიის სხვა ხელნაწერი სინონიმად გვაწვდის განსხვავებულ იყითხვისს — „**ბიცი**“. „**ალდატი**“, „**ალდაჭი**“, „**ბიცი**“ ძველი კლასიკური ტექსტების ჩვენებით სინონიმებია და ხასიათდებიან ერთი ნიშნით, როგორც „**მარილოვანი**“, „**მარილიანი**“, რასაც სომხური შესატყვისაც გვიდასტურებს აღსაყენი [„ალტალტუკ“], აღსაყენი „ალტალტინ“, სომხური ლექსიკონების მიხედვით განიმარტება როგორც „ჭარბმარილიანი“.

4. „**ალდაჭი**“ და „**ბიცი**“ შესულია საბას, ჩუბინაშვილების, ილია აბულაძის, ჭართული ენის განმარტებით ლექსიკონებში; „**ალდატ**“ სიტყვა დასტურდება ნიკო და დავით ჩუბინაშვილებთან, აგრეთვე სულხან-საბას ერთ წყაროში. 6. ჩუბინაშვილი „**ალდაჭ**“-ს მიზნევს სომხური წარმომავლობის სიტყვად; ასეთადვე მიიჩნევს „**ალდატს**“ დ. ჩუბინაშვილი, რომელსაც ეთანხმება სომეხი ენათმეცნიერი პრ. აჭარიანი.

5. დავით გურამიშვილის „დავითიანში“ გვხვდება სიტყვა „**ალდაჭი**“ ამგვარ კონტექსტში:: „უძეო, მე ვარ, ვითა **ალდაჭი**, ბიცი და მლაშობი“ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ ეს სიტყვა ასე განიმარტება: **ალდაჭი**-ი (ალდაჭისა) ძვ. **ბიცი** (საბა), — მლაშე ნიადაგი, მლაშობი; უნაყოფო მიწა. // გადატ. უძეო (დავით გურამიშვილთან). „**ბიცის**“ განმარტება ამავე ლექსიკონში ასეთია: „ხსნადი მარილების შემცველი ნიადაგი, მლაშე ნიადაგი.“ თავად საბასთან კი ეს სიტყვა ასეა განმარტებული: ესე არს მიწა, სადა სიმღაშით ნაყოფი არა იქმნების“. სიტყვა „**ბიცი**“ საბას მოაქვს „**ალდაჭის**“ განმარტე-

ბაღ: „**ალდაჭი**“ — **ბიცის**” საბასეულ განმარტებას თავის ღროზე შეეხო ივ. ჯავახიშვილი, რომელიც წერდა: „,საბას **ბიცის** განმარტების ღროს ახსნილი აქვს, რომ ასეთი სახელი ისეთ ნიადაგს ეწოდებოდა, „,სადაც სიმღლაშით ნაყოფი არ იქმნების“-ო... ამგვარად, საბას განმარტება **ბიცის** შესახებ მართლდება“. („**ბიცი**“ გურულ მეტყველებაში ნიშნავს: „კეცზე გაციებულ-გამაგრებულ მჟადს“).

6. სულხან-საბას ქართული ლექსიკონის „უცხო შესატყვისობანი“ **„ბიცის“** სომხურ შესატყვისად სრულიად მართებულად გვიჩვენებს **ალთალონი** [აღტალტუე]-ს

7. ჩვენ მიერ ძველი ტექსტებიდან მოხმობილი ადგილები საცნაურყოფენ, რომ „**ალდატი**“ (=„**მართლოვანი**“) ძველ სომხურში შეისატყვისებს **ალთალონი** [სიტყვას, რომელიც **ალტი**] ფუძის გაორმაგებით წარმოებულ კომპოზიტს წარმოადგენს. თავად **ალტი** [სიტყვა კი ნაწარმოებია სიტყვიდან **ალ** [ალ], რომელსაც ემატება **ტ**] ფორმანტი. ამდენად, **ალთალონი** ფუძეგარმაგებული კომპოზიტია და ნიშნავს „ჭარბმარილიანს“; ამ სომხურ კომპოზიტს ემატება კიდევ მაწარმოებლები **თაკ [უქ]** და **ქინ [ინ]**.

8. „**ალდატი**“ და **ალდაჭი** ვარიაციული ერთეულებია, რომელთაც საფუძვლად უდევთ, როგორც ეს სამართლიანადაა აღნიშნული ლექსიკონებში, სომხური სიტყვა **ალთალონი**. პირველი მიღებულია სომხური **ტ**-ს კანონზომიერი გამუღლერებით და მეორე **ლ**-ს დაკარგვით (**ალტალტ-ალდატი**), ხოლო მეორე სიტყვა აისნება სომხური **ლ**-ს ისტორიული ტრანსფორმაციით **ლ** ბერებად 1X-X სს-ში და სომხური **ტ**-ს მცდარი ამოკითხვის გამო **ჭ**-დ, რასაც საფუძვლად უდევს ქართული (**z - ჭ**) და სომხური (**S - ტ**) ასომთავრული ასოების მსგავსი მოხაზულობა.

9. მცხეთურ ბიბლიაში შემონახული სიტყვა „**ალდატი**“ აღრინდელია, როცა სომხური **ლ** ჯერ არ არის ტრანსფორმირებული **ლ**-დ, რასაც უკვე ადგილი აქვს „**ალდაჭი**“ - ის წყაროში.

10. დავით გურამიშვილთან დადასტურებული „**ალდაჭი**“ აისწერდა ბაქარის ბიბლიაში (1743 წლის მოსკოვის გამოცემა) შესული ანალოგიური მცდარნაწერი ფორმით. ეს არასწორი წაკითხვით მიღებული სიტყვა შესულია აგრეთვე ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

## მურმან სუხიშვილი

### გვარის ფორმები გამოხატულებისა და შინაარსის პლანის მიხედვით

გვარის, როგორც მორფოლოგიური კატეგორიის, დახასიათება გულისხმობს ამ კატეგორიის რეალიზაციას ენაში გამოხატულებისა და შინაარსის პლანის მიხედვით.

ქართულში ტრადიციულად განარჩევენ გვარის სამწევრიან ოპოზიციას (აქტივი : ბასივი : მედიუმი). გვარის კატეგორია განიხილება ასევე ორწევრიანი ოპოზიციის სახითაც (აქტივი : ბასივი). ეს განსხვავებული კლასიფიკაციები სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო არგუმენტებით არის წარმოდგენილი.

გვარის სამწევროვან სისტემაში მორფოლოგიური მარკერი აქვს აქტივისა (ა-, ღ) და ბასივის (ი-, ე, -დ, ღ) ფორმებს, მედიური ზმნები საოპოზიციო ფორმებს უნიშნობით უპირისპირდებიან.

გვარის კატეგორიის სამწევრიანი სისტემა ენაში ყოველთვის სრულად არ არის რეალიზებული, – შეიძლება შეგვხვდეს ორწევრიანი სისტემის სახითაც (იშვიათია ოპოზიციური სისტემის ერთწევრიანი მოცემულობაც). არსებითად, რომ ამ სისტემებში არ ირღვევა მორფოლოგიური ოპოზიციის ძირითადი პრინციპი: ოპოზიციაში არ მონაწილეობს ერთზე მეტი არამარკირებული წევრი.

ე.ი. გამოხატულების პლანის მიხედვით ქართულში გვარი მორფოლოგიური კატეგორიაა.

რაც შეეხება შინაარსის პლანს. აქ გვარის ოპოზიციის წევრები ერთმანეთს უპირისპირდებიან აქტივობა-პასივობის მიხედვით: აქტივები აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ, ბასივები – ბასიურს. რაც შეეხება მედიალურ ზმნებს, ისინი ფორმისა და ფუნქციის მიხედვით აქტივება და ბასივის ურის არიან გადანწილებული, მაგრამ არც აქტივები არიან და არც პასივები.

როგორც სამწევრიან, ისე ორწევრიან სისტემებში აქტივისა და პასივის მნიშვნელობები შინაარსობრივად ერთმანეთს უპირისპირდებიან სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით. ეს დაპირისპირება უფრო ხელშესახებია, როცა აქტივის პირდაპირი ობიექტი (შესაბამისად პასივის სუბიექტი) უსულო (რა ჯგუფის) სახელია.

ვნებითის პასიური სემანტიკის დამოწმების საკონტროლო საშუალებად კონსტრუქციაში მიერ ან -გან თანდებულიანი ფრაზის (ქვემდებარისებრი უბრალო დამატების) შეწყობა წარმოადგენს:

ბიჭი ხატავს სურათს > სურათი იხატება (ბიჭის მიერ)  
სითბო აფართოებს სხეულს > სხეული სითბოსაგან ფარ-  
თოვდება...

მოქმედების რეალური სუბიექტი ინსტრუმენტული დამატების  
სახითაც შეიძლება მოვევლინოს: დიდი სიცხისაგან ადამიანი  
ბრმავდება || ფიგურალ. სიხარბით ბრმავდება – შუ-  
რით ბრმავდება (ქეგლ I).

ეს საკონტროლო საშუალება არ არის აბსოლუტური. თანდებუ-  
ლიანი უბრალო დამატების ან ინსტრუმენტული დამატების აღდგენა  
ვნებითის კონსტრუქციაში ყოველთვის არ ხერხდება. ზოგჯერ რეალუ-  
რი სუბიექტის ალტერნატივა კონტექსტის მიხედვით ამოიცნობა.  
შდრ.: ერთმანეთს აწყდებოდნენ და გორდებოდნენ (ს. შანშ.)  
ქეგლ III. დაგორების მიზეზი (ერთმანეთს აწყდებოდნენ)  
ვნებითის კონსტრუქციაში არ აისახება.

ბეღურა ჩიტები უივივებდნენ და თან მზეზე თბებოდნენ  
(ს. მგალობ.).

[ცეროდენამ] ვაზების ქვეშ ცეცხლი და ანთო, მიუჯდა  
გვერდზე და თბებოდა (ზღაპ.) ქეგლ IV.

ვნებითის ფორმათა პასიურობის ხარისხის შემოწმება სხვა საშუ-  
ალებებითაც შეიძლება. კერძოდ, ვნებითის კონსტრუქციის წარმო-  
ქმნის კონვერსიული არსიდან გამომდინარე, ვნებითის შინაარსი შეიძ-  
ლება გადმოიცეს მოქმედებითი გვარის მრავლობითი რიცხვის ფორ-  
მით, რომელსაც განუსაზღვრელი სუბიექტი აქვს: იხატება = ხა-  
ტავენ, ითესება = თესავენ, იზრდება = ზრდიან, კეთ-  
დება = აკეთებენ, შენდება = აშენებენ (არნ. ჩიქობავა).

განუსაზღვრელპირიან წინადადებას ქართულში ქვემდებარევაუ-  
ჩინარებული წინადადება ჰქვია. „ასეთ წინადადებაში ქვემდებარევა გა-  
უჩინარებულია, მაგრამ მოქმედად მაინც ივარაუდება ვიღაცა გაურ-  
კვეველი პირი (თუ პირები), რომლის ვინაობაც არ არის განსა-  
ზღვრული“ (ლ. კვაჭაძე).

ასე რომ, წინადადებაში ვნებითის ფორმათა შენაცვლება მოქმე-  
დებითი გვარის განუსაზღვრელპირიანი მრავლობითის ფორმებით  
გრამატიკულად მოტივირებულია. შენაცვლებას ექვემდებარება რო-  
გორც იპრეფიქსიანი, ასევე სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითები, რო-  
მელთა სუბიექტი პასიურია, ამ საკონტროლო საშუალებას არ ექვემ-  
დებარება გნიანი ვნებითები.

შენაცვლების ფაქტებს წარმოვადგენთ „ქართული ენის განმარ-  
ტებითი ლექსიკონის“ მიხედვით:

<b>ი-პრეფიქსიანი ვნები</b>	<b>დონიანი ვნებითები</b>	<b>უნიშნო ვნებითები</b>
იბერება – ბერავენ	ბარდება – აბარებენ	ლპება – ალპობენ
იბნება – აბნევენ	გუბდება – აგუბებენ	ქრება – აქრობენ
იბრიცება – ბრეცენ	გროვდება – აგროვებენ	თბება – ათბობენ
ილესება – ლესავენ	გამაიმუნდება – გაამაიმუნებენ	ცდება – გამოუყე- ნებლად რჩება, ვერ
იპარსება – პარსავენ	ნიავდება – ანიავებენ	ნებლად რჩება, ვერ (არ) მოიხმარებენ...
იპტყვნება – პტყვინან	ზუსტდება – აზუსტებენ	მთელდება – ამთელებენ
იპობა – აპობენ...	თხოვდება – ათხოვებენ...	თხოვდება – ათხოვებენ...

## თელო უთურგაიძე

### ა/ ხმოვნის ვარიანტები ძველ ქართულსა და თანამედროვე დიალექტებში

ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში -ხსა და -ხთა დაბო-  
ლოებები მიჩნეულია იმის საბუთად, რომ /ი/ ფონემის 『ე』 ვარიანტის  
პოზიციად ჩაითვალოს V-C, მსგავსად V-# პოზიციისა.

უკვე ხანმეტი პერიოდიდან ჩნდება ტენდენცია უ(ე) დაიკარ-  
გოს კანონიერად მიჩნეულ ამ პოზიციაში (ხუმჯობეს, ხუტკბოს, იესუ-  
სი, იესუსსა...).

საშუალ ქართულში ნორმად იქცა ბაგეთათ, თვალთათ ტიპის ფორმები (შდრ. ბაგეთათ, თვალთათ), რომელთაც „ვეფხის ტყაოსანი“ თანამიმდევრულად იცავს.

აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში V-C პოზიციაში, გან-  
სხვავებით V-# პოზიციისგან, 『ე』-ს ვეღარ ვხვდებით, აღარ არსებობს  
『კალოხე』, 『კალოხთ』 ტიპის ფორმები (შდრ. 『კალოხ』 მთის  
დიალექტებში).

აღნიშნული პოზიციების განხილვა საჭიროა ქართული ენის  
მარცვლის ბუნებიდან ამოსვლით, ე-ს (resp. 『ე』-ს დაკარგვა ამ პოზი-  
ციებში შედეგია არაბუნებრივ კომპლექსთა დაძლევისა.

## ნათია ფონიავა

### აფხაზური ენის CVC ტიპის ზმნურ ძირთა ფონემური შედგენილობისათვის

აფხაზური ენის ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხებს იყვლევდა არაერთი მეცნიერი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია აკად. ქ. ლომთათიძის ღვაწლი.

ჩვენ შევისწავლეთ აფხაზურ ზმნურ ძირთა ფონემური სტრუქტურა სინქრონიული ასპექტით. საანალიზოდ აღებულია ყველა ის ზმნური ძირი, რომელიც შეტანილია აფხაზური ენის განმარტებითი ლექსიკონის ორტომეულში. გათვალისწინებული გვაქვს როგორც საკუთარი, ისე ნასესხები ზმნური ერთეულები.

აფხაზურ ზმნურ ძირებში რაოდენობრივად ყველაზე მეტი აღმოჩნდა CVC ტიპი. ამ მოდელის 90 ზმნური ერთეული დავადასტურეთ, რომლებიც განაწილებულია 11 სტრუქტურულ ქვემოდელში.

CVC სტრუქტურაში ხმოვანთა დისტრიბუციის თვალსაზრისით ასეთი სურათი გვაქვს: 46 ძირში წარმოდგენილია ა ხმოვანი, 40-ში გვხვდება ნეიტრალური ხმოვანი, რომელიც ხშირ შემთხვევაში ა-ს რედუქციითაა მიღებული, 2-ში დასტურდება ი, თითო ძირში რეალიზდება ე და ი.

ი, ე და ი ხმოვნების შემცველი ძირები ნასესხები უნდა იყოს.

გარკვეული შეზღუდვები ახასიათებს ცალკეულ თანხმოვნებს: ვ და პ არ გვხვდება არცერთ პოზიციაში, იშვიათია ჟ და ჭ ფონემებიც.

CVC მოდელში ძირის თავკიდურ პოზიციაში თუ ხშილია წარმოდგენილი, ბოლოში მეტწილად გვექნება სონორი ან სპირანტი, იშვიათად — ხშილი. აღნიშნული მოდელის თავკიდურსა და ბოლოკიდურ პოზიციაში დასტურდება ხმოვნით გათიშული ასეთი მიმდევრობები: ხშილი+ხშილი, ხშილი+სონანტი, ხშილი+სონორი, ხშილი+სპირანტი, სპირანტი+სპირანტი, სონორი+ხშილი, სონორი+სპირანტი, სპირანტი+სონორი, სპირანტი+ხშილი, სონორი+სპირანტი.

CVC სტრუქტურაში არ შეგვხვდრია ხმოვნით გათიშული მიმდევრობები, რომელთა თავკიდურსა და ბოლოკიდურ პოზიციაში იქნებოდა ერთი და იმავე რიგის თანხმოვნები. ეს შეზღუდვა არ ეხება ერთი და იმავე რიგის იდენტურ თანხმოვნებს. მაგ.: ბVბ დასაშვებია, მაგრამ არ დასტურდება ბVფ, ბVპ, ასევე ფVბ, ფVპ, პVფ, პVპ.

მსგავსი ვითარებაა ენაკბილისმიერ და უკანავისმიერ ხშულებშიც (ეს ეხება მათ ლაბიალიზებულ და უკანავისმიერთა პალატალიზებულ ვარიანტებსაც), ასევე ფარინგალურ თანხმოვნებში; ენაკბილისმიერ ხშულებში არის ერთი გამონაკლისი. ერთადერთ ძირში გვაქვს დათ მიმდევრობა: ჰ-ნ-დათ-ლა-რა „შევიბრება, შეცილება“. მისი წარმომავლობა ჩვენთვის უცნობია.

ერთი ძირეული მორფემის ფარგლებში ანლაუტსა და აუსლაუტში არ გვხვდება სისინა და შიშინა აფრიკატები: ძ ც წ ჭ ჩ ჭ, ასევე აფრიკატებთან ერთად ძირის სტრუქტურაში არ დასტურდება სისინა და შიშინა სპირანტები: ზ ს ჟ შ.

ანლაუტსა და აუსლაუტში არ ფიქსირდება სისინა და შიშინა სპირანტებიც (აკრძალვა მოქმედებს შიშინა სპირანტების ლაბიალიზებულ და ინტენსიურ სახეობებზეც);

CVC მოდელში ასევე არაა მოსალოდნელი ერთი და იმავე რიგის უკანავისმიერ და ლარინგალურ სპირანტთა მიმდევრობები, როგორიცაა: ხVღ ღVხ (აკრძალვა ვრცელდება მათ ლაბიალიზებულ და პალატალიზებულ ვარიანტებზეც); ჰVჳ ჳVჳ ჳVჳ ჳVჳ ჳVჳ.

CVC მიმდევრობაში თავკიდურად და ბოლოკიდურად არაა დამახასიათებელი სონორები. მხოლოდ ერთ ძირში გამოვლინდა SVS მიმდევრობა, მაგრამ ისიც ნასესხები უნდა იყოს: ნერ: ა-ნერ-რა „გრძნობა, შეგრძნება“.

აფხაზურში ფართოდაა გავრცელებული CVC მოდელის ძირები. მათი ნაწილი ნასესხებია ან სახელური წარმოშობისაა. შესაძლოა, ამ მოდელის ზოგიერთი ძირი მიღებული იყოს ორმარცვლიან ძირთა რედუქციის შედეგად, კერძოდ, CV სტრუქტურის ზმნათა რედუქციორებული ვარიანტების რედუქციის გზით. თუმცა ამ მოდელის ყველა ძირის წარმომავლობის დადგენა დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

## მედეო ღლონტი

### ღმერთის ლექსიკურ-სემანტიკური ბუდისათვის

ღმერთის ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდედ მოიაზრება დარგობრივ-თემატური პრინციპით შერჩეული ლექსიკური მარაგი, რომლის

ამოსაგალი ლექსიკური ერთეულია **დმერთი**. ბუდის ფარგლებში არ-სებული ლექსიკური მარაგის კვლევა სამ საანალიზო მიმართულებას ითვალისწინებს:

### **1. საკუთრივ ლექსიკურ-სემანტიკური ანალიზი:**

ა) დადგინდა ბუდის ლექსიკური მარაგის ოდენობა (200-მდე ლექსიკური ერთეული, ბუდის გარეთ არსებული ამავე სემანტიკის მქონე 20-მდე ლექსიკური ერთეულის გათვალისწინებით).

ბ) თავი მოიყარა ლექსიკური მარაგის 160-მდე სემანტიკურმა ველმა.

გ) განისაზღვრა ბუდის ლექსიკური მარაგის 8 მაგისტრალური სემანტიკური მიმართულება: **I:** „ზეციერი უფალი ღმერთი“; **II:** „ანგე-ლოზი და ხატ-ჯვარ-სალოცავები“; **III:** „კერპთა ღმერთი“; **IV:** „ღვთისა-თვის განკუთვნილი (შესაფერი)“; **V:** ღვთის მსგავსი“; **VI:** „ღმერთად ქცევა“; **VII:** „თვისებისა და რაგვარობისა“; **VIII:** „დალოცვა-მისალმება და ფიცი“.

დ) კვალიფიცირებულია, ერთი მხრივ, **დმერთის** ლექსიკურ-სე-მანტიკური ბუდის მინიმალური პოლისემიურობა, მეორე მხრივ, მა-ლალი სიტუაციების და მასთან შედარებით, **დმერთი**-ისგან წარმოებულთა დაბალი პროცენტიულობა ქართულში. ასევე შედარებით მცირე კვუფს ქმნის საკუთ-რივ ფრაზეოლოგიზმთა შემცველი VIII მაგისტრალური სემანტიკური მიმართულება („დალოცვა-მისალმება და ფიცი“).

ქართული **დმერთის** ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანის თვალ-საზრისით, ყურადღესალებია ის, რომ კომპონენტი **ღმერთ-** კომპონი-ტებში თითქმის უგამონაკლისოდ ინარჩუნებს „უზენაესი ღმერთის“ ან „ყოველივე ზეციურის“ სემანტიკას (შდრ. უკიდურესად მინიმალუ-რი კომპონიტური წარმოება ქართული **უფალი**-ისა, რომლის 73 სე-მანტიკური ველიდან 85%-ზე მეტი „საწუთისოფლოს“ სემანტიკის შე-მცველია და მხოლოდ 15%-ზე მოდის „ყოველივე ზეციურის“ სემან-ტიკა).

ასევე, თითქმის უგამონაკლისოდ, ძნელდება **ღმერთ-** კომპონენ-ტის ჩანაცვლება კომპონენტით **უფალი**- (შდრ.: გვაქვს **ღმერთკაცი** ან **ძე ღმერთისა**, და არა: უფალკაცი ან ძე უფლისა; **ღმერთისმშობელი**, **ღმერთისმეტყველი** ან **ღმერთისმსახური**, და არა: უფლისმშობელი, უფლისმეტყველი ან უფლისმსახური და ა. შ.).

მეგრულ-ჭანური და სვანური ენების, ასევე ქართული ენის დი-ალექტთა შესაბამისი მონაცემების საფუძველზე დგინდება თითქმის იგივე ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი.

### **2. ამოსავალი ლექსიკური ერთეულის (დმერთის) ისტორი-ულ-ეტიმოლოგიური ინფორმაცია:**

ქართ. **ღმერთ-** <**\*ღარმათ-** (ნიკო მარი);

ქართ. **ღმერთ-** <**\*ღერმათ-** და <**\*ღრმათ-** მ—რ > რამ მეტათე-ზისით (გ. კლიმოვი);

ქართ. **ღმერთ-** <**\*ღმართ-** უმლაუტის შედეგად (ფენრიხი-სა-რჯველაძე);

ქართულიდან ნასესხობად მიჩნეულია მეგრულ-სვანური შესა-ტყვისები:

მეგრ. **ღორმონთ-**, ლაზ. **ღორმოთ-** < საერთოლაზ. **\*ღმორთ-** მ—რ > რ—მ მეტათეზისით, ასევე მთვარი ასიმილაციით მეგრულში, და სვან. **ღერმეთ-ჲერბეთ-** <**\*ღმართ-** ანაპტიქსური **-ე-** ხმოვნით (ფენრიხი-სარჯველაძე)

ქართ. **ღმერთ-** ძირს ჰ. ფენრიხი სავარაუდოდ უკავშირებს ხა-ტის ენაში დადასტურებულ ფუძეებს: **საღმურთობა ხალამურთობა**.

3. **დმერთის** დაკავშირებული სათანადო საღვთისმეტყვე-ლო მასალის მოხმობა ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანებაზე დაყრდნობით.

**დმერთის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის ამგვარად წარმოებუ-ლი ანალიზი ახალი კუთხით წარმოაჩენს ქართული **დმერთის** სემან-ტიკური განვითარების ისტორიულ გზას, ბუდეში შემავალი დარგობ-რიგ-თემატური ლექსიკის ენობრივ არჩევანს.

### **ეთერ შენგელი**

### **ზოგი მეგრული ფუძის ეტიმოლოგიისათვის** (მუსხ-ი//მოსხ-ი, თესხ-ი//თისხ-ი, მუსხიშა(ხ), თესხიშა(ხ)//თისხიშა(ხ))

მეგრულში დასტურდება ლექსიკური ერთეულები: **მუსხ-ი /მოსხ-ი, თესხი /თისხ-ი, მუსხიშა(ხ), თესხიშა(ხ) /თისხიშა(ხ)**, რომლებიც გვხვდება როგორც:

1) რიცხვითი სახელი: **მუსხი** „ბევრი“: მუსხი ვეზვეწი, მარა იწყება მუთუნქუ ვაგომირთვ „რამდენი ვეზვეწე, მაგრამ მასთან არა-ფერი არ გამივიდა“;

2) ნაცვალსახელი: ა) კითხვითი: **მუსხი** „რამდენი“: მუსხი კათა ქორდგ გოწოს ლებარდეს? „რამდენი ხალხი იყო შარშან ლებარდე-ში?“ ბ) მიმართებითი: **მუსხით** „რამდენიც“: კურდღელქი მუსხით იკ-ვაკუ, თისხით ირულუა „კურდღელმა რამდენიც იკიკინა, იმდენიც ირბინან“; გ) ჩვენებითი: **თესხი /ხასხი** „ამდენი//იმდენი“: თესხი უშ-ქური მუშო იყიდით?!, „ამდენი ვაშლი რისთვის იყიდეთ?!” თისხი ჯა-ში კვათუა მუჭო შილებელდე? „იმდენი ხის მოჭრა როგორ შეიძლებოდა?“

3) ზმინზედა: ა) ზომა-ოდენობის: **მუსხიშა(ბ)** „რა ზომამდე“: სქან(ი) რინას შვაშის ვამუძინანა, მუსხიშახ ეშე ვადიმალალე „შენ სხვის ყოფნას ვერ მოგიმატებენ, რა ზომამდეც (რამდენადაც) არ ამაღლდე (ზევით).“ ბ) იგივე სიტყვა ვეხვდება ჭერობა-ოდენობის მნიშვნელობით: „რამდენჯერ//ბევრჯერ, რამდენად“: მუსხიშა(ბ) მებ/ფრთი, მარა აკაშა ვადომ/ბ/ფხვად „რამდენჯერ//ბევრჯერ მივედი, მაგრამ არცერთხელ არ დამხვდა“; მუსხიშა რე სქანი ცურძენი? „რამდენად არის (რა ლირს) შენი ყურძენი?“ **თესხიშა(ბ) /ხასხიშა(ბ)** „ამდენჯერ//იმდენჯერ//ამდენად//იმდენად“ (ესენი რაოდენობასაც ვამოხა-ტავენ): თესხიშა(ბ)/თისხიშა(ბ) ოკო გვმოჩენი, ვარა მუთუნი ვერალე სქან(ი) გაჭირებას „ამდენჯერ//იმდენჯერ//ამდენად//იმდენად უნდა ვა-ყიდო, თორებ ვერაფერი ვერ აუვა შენს გასაჭირს!“

**მუ-სხ-ი /მო-სხ-ი, მუ-სხ-იშა(ბ), თე-სხ(ი) /ხი-სხ(ი), თე-სხ-ი-შა(ბ) /ხი-სხ-ი-შა(ბ)** აგებულებით რთული სახელებია. მათთვის ამო-სავალი არის **სხ-** ძირი, რომელიც სემანტიკურად სიმრავლის ვამო-მხატველი უნდა იყოს. ხოლო თავსართები: **მუ-//მო-** „რა“კითხვითი ნაცვალსახელებია, **თე-//თი-** კი „ეს//ის“ — ჩვენებითი ნაცვალსახელე-ბია.

ვსვამთ საკითხს მეგრულ საანალიზო ლექსიკურ ერთეულებში გამოყოფილი **-სხ-** და ქართული სიმრავლის ვამომხატველ **სხ-** ძირების (სხმა „დება; შობა; მოყვანა; მოგრა; დარგვა; აყვანა“) სემანტიკურ-ფონეტიკური შესატყვისობის შესახებ. შესადარებელ ფუქ्षებში გვაქვს ქართ. **სხ-**: მეგრ. **სხ-** ძირების იდენტური შესატყვისობა (შდრ. ქართ. მსხალ-ი: მეგრ. სხულ-ი; ქართ. სისხლ-ი: მეგრ. ზისხირ-ი).

## ვ ვ ჟ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა

### კვლავ ი ბ ე რ - და ი მ ე რ - ფუქ्षეთა შესახებ

**იბერია II > ივერია** ბერძნულ სამყაროში ცნობილი ტოპონიმია. შესაბამისად, ბუნებრივია, ცნობილია ეთნონომი **იბერი II > ივერი**.

**იბერ-** ფუქ्षე, მსამეცნიერო ლიტერატურაში არსებული თვალ-საზრისის შესაბამისად, **იბერ-**ს უკავშირდება (ნ. მარი, ი. ყიფშიძე). ამასთან, მიიჩნევა, რომ **იბერ-**-ის **იბერ-**-ად გარდაქმნა ბერძნულში მო-ხდა (კ. დანელია).

ვფიქრობთ, პროცესი **იბერ-** > **იბერ-** ქართველურ ენობრივ სამყაროში (კერძოდ, დასავლურ-ქართულ ენობრივ არეალში) შეიძ-ლებოდა განხორციელებულიყო. ამასთან დაკავშირდებით უნდა გავხ-სენოთ **ბ** → **ბ** პროცესი, რომელიც მეგრულ-ლაზურსა და სვანურს ახასიათებს:

1. მეგრულ-ლაზური ბიბერტური პირის აღმნიშვნელი **ბ** თანხმოვ-ნის წინა პოზიციაში **ბ-ში** გადადის;

2. **ბ** → **ბ** მეგრულ-ლაზურში საერთო-ქართულიდან მომდინარე თუ ნასესხებ სიტყვებშიც დასტურდება (შდრ. ქართ. **ბზე** — მეგრ.-ლაზ. **ბჟა**, ქართ. **ბრავალი** — მეგრ. **ბრელი**, ქართ. **ბზითვი** — მეგრ. **ბზითია...).**

3. **ბ** → **ბ** პროცესი გვაქვს სვანურში ქართულის შესატყვის სიტყვებში (შდრ. ქართ. **ღმერთი** — სვან. ღერბეთ, ქართ. **მარწყვი** — სვან. **ბასყ**, ქართ. **მლილი** — სვან. **ბუღულ** || **ბუღული**...).

**იბერ-** ფუქ्षის (იმერეთ-ი) **იმიბერ-** || **იმერ-**-თან („იქით, გაღმა, გადაღმა; იმიერი, იქითა“) კავშირი ცხადია, ასევე ის, რომ ეს ფუქ्षე დერივატია (ჩვენებითი ნაცვალსახელი **იმ + -იერ** სუფიქსი). ამასთან, არ არის შეუძლებელი **იმერ-** || **იბერ-**|| **ივერ-** ფუქ्षეთა ძველ ფონეტი-კურ სახედ **ჰიმერ-** || **ჰიბერ-**|| **ჰივერ-** მივიჩნიოთ (ი. ყიფშიძე).

## მანანა ჩაჩანიძე

### ლექსიკოგრაფიული სემანტიზაციის ვერბალური საშუალებები და ლექსიკონთა ტიპოლოგიის პრობლემა

ლექსიკოგრაფიული სემანტიზაციის ვერბალური საშუალებები, ფაქტობრივად, წარმოადგენენ ძირითად ლექსიკოგრაფიულ კატეგორიებს (სიტყვა, შესიტყვება, ფრაზება, წინადაღება, ტექსტი). ამ კატეგორიათა მეშვეობით, დიფერენციული ნიშნის სპეციფიკიდან გამომდინარე, ლექსიკონთა ტიპოლოგიის პრობლემა პრინციპულად უკავშირდება და მოიცავს კიდეც თარგმნისა და სემანტიზაციის რიგ პრობლემურ საკითხს.

ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით განასხვავებენ სამი ტიპის თარგმანს:

1. ინტერლინგვისტური (განმარტება ხდება ერთი, უკვე მოცემული ენის სხვა ნიშნებით);
2. ინტრალინგვისტური (განმარტება ხდება სხვა ენის ნიშნებით);
3. ინტერსემიონტიკური (განმარტება ხდება სხვა სემიოტიკური სისტემის ნიშნებით).

თარგმანის ტიპების დადგენის საკითხი უშუალოდ მიემართება სემანტიზაციის (ახსნა, განმარტება, დეფინიცია) საკითხს. ლექსიკოგრაფიული სემანტიზაცია განისაზღვრება, როგორც პროცესი ან შედეგი სალექსიკონ ერთეულთა მნიშვნელობის ექსპლიკაციისა ვერბალური და არავერბალური საშუალებებით. სემანტიზაციის ზოგად თეორიაზე დამყარებული კომუნიკაციური მოდელი ლექსიკოგრაფიისათვის ასეთია:

#### 4. სემანტიზაციის საგანი



1. ადრესანტი ←→ 2. სამეტყველო ჯაჭვი ←→ 3. ადრესატი  
(ლექსიკონის შემდგენლები) (სემანტიზაციის სახეები) (ლექსიკონის მომხმარებლები)



#### 5. ენა. მეტაენა

## მერაბ ჩუხუა

### სვანური მიცემითის -ან სუფიქსი და მისი პარალელები სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებში

თანამედროვე ქართველური ენა-კილოების ბრუნვათა სისტემაში განსაკუთრებული მახასიათებლებით სვანური გამოირჩევა. სვანური ბრუნვისთვის ნიშანდობლივია როგორც ქართულ-ზანური სუფიქსაცია, ისე საკუთრივ სვანური მარკერები. აქ თქმული ეხება მიცემითი ბრუნვის ნიშნებსაც, კერძოდ, სვანურში გამოყოფა **-ხ**, **-უ**, **-ვნ** / **-ან** დაბოლოებები, რომელთაგან **-ხ** საერთოქართველურია (ნ. მარი, ვ. თოფურია), დასადგენია მიცემითის **-უ** და **-ან** სუფიქსთა გენეზისი.

კვლევის ამ ეტაპზე შევეხებით სვანური **-ვნ** / **-ან** ალომორფებს, რომლებიც რეალურად, როგორც დამოუკიდებელი მორფოლოგიური ინვენტარი, მხოლოდ ჩვენებით ნაცვალსახელთა ბრუნებისას გამონაწევრდება, შდრ.: ბზ. ალა „ეს“, მაგრამ ამ-გვ||ალა-ს „ამას“, ერა „იგი“, მაგრამ ეჭ-გვ||ეჭა-ს „მას“. ჩვენი დაკვირვებით, უფრო ძველი **-ან** სახეობიანი მიცემითი უცვლელად არის შემონახული ბალსკვემოურ დიალექტში: ეჭ-ან ხოჩელ ნომოურ ჯაყრა „იმაზე კარგი არაფერი დაგმართოდეს“; ამ-ან ხოლა დარ ჯიწვადა „ამაზე უარესი არაფერი გინახავს“?...

სვანური **-ან** წარმოჩნდება ქართვ. ჩქარ-ას, იაფ-ას, ნელ-ას ტიპის მიც. (resp. ვითარებითი) ბრუნვის ფუნქციითაც, შდრ. სვან. მახე „ახალი“, მაგრამ მახა-ნ „ახლად“ (ვ. თოფურია), ასევე მეზგ-ან „ოჯახ-ოჯახ“, ლაყურ-ან-ლაყურ-ან „საწოლ-საწოლ“.

სვანურში იყად. ვ. თოფურიას მიერ გამოყოფილ მიცემითი ბრუნვის რელიქტურ **-ან** ფორმანტს შესატყვისი უნდა ჰქონოდა ქართულსა და ზანურში. მოხსენებაში წარმოდგენილი თვალსაზრისის მიხედვით, ამოსავალი **-ან**, როგორც ისტორიულად არსებული მიცემითი ბრუნვის ნიშანი, უნდა იყოს შემორჩენილი შემდეგ ზმნისართებში: გვი-ან (გვი-ან-ი), შდრ. სვან. რა-გუ — „დაგვიანება, დაყოვნება“, ძოლ-ან || წელ-ან, ნა-მეტ-ან... შდრ. ასევე დიალექტური ფორმები: აქ-ან-ე/ა, იქ-ან-ე/ა, მად-ან-ე/ა...

ეგევე **-ან** გამოსაყოფია ზანურ ზმნისართებშიც: ჭუმ-ან — „ხვალ“, შდრ. ჭუმ-ე „id“, ამჭუმ-ან „ამ დილას“, ჭუმ-ან-ერ-ი „ხვალინდელი“, ანჭი-ან — „მომავალი“, გოწო-ნ — „შარშანდელი“, ამდლ-ან-(ერ-ი) „დღევანდელი“...

ცხადია, ყოველივე ზემოთქმული იმის მანიშნებელია, რომ \*-ან ფორმანტი მომდინარეობს საერთოქართველური ფუძე-ენიდან, ის გამოიყენებოდა როგორც სახელთა ბრუნებისას (ფორმაწარმოება), ისე ზმნისართებში (სიტყვათწარმოება), შდრ. თანამედროვე -ს ბრუნვის ნიშნის იგივეობრივი ფუნქციები ქართულსა და ზანურში (დღე-ს / დღა-ს „არასოდეს“).

საერთოქართველურ ბრუნვათა სისტემაში რეკონსტრუირებული \*-ან სუფიქსის კანონზომიერი მორფოლოგიურ-ფონეტიკური შესატყვისი ჩანს ფუძენახური დატივის ნიშანი \*-ენ(ა), რომელიც ნახურ ენებში ერთადერთი ფორმანტია, შდრ. ბაცბ. დად „მამა“ — დად-ენ „მამას“, ინგ. ლოა „თოვლი“ — ლად-ნა „თოვლს“, ჩეჩნ. ბედარ „ტანსაცმელი“ — ბედარ-ნა „ტანსაცმელს“...

ჩერქეზული ენებიდან უბიხური ნათლად წარმოაჩენს -ნე-ნე ალო-მორფებს: ჭა „კარგი“ — ჭა-ნ „კარგად“, (ა)დახუა „ზაფხული“ — ადახოა-ნე „ზაფხულში“... მსგავსი ფუნქციითაა -ნე აღჭურვილი აფხა-ზურ-აბაზურში, შდრ. ბზია „კარგი“ — ი-ბზია-ნე „კარგად“.

დაღესტნურ ენათა ჯგუფში ისტორიულად არსებული -ნ მიც. ბრ. ნიშანი დღემდე მხოლოდ ლაკურ ენას შემორჩა: ბაკ(რა) „გუ-ლი“ — ბაკ-რა-ნ „გულს“. სხვა ენებში მიცემითი ბრუნვის -ნ აფიქსის არსებობის კვალი საძიებელი გამხდარა.

ერთი რამ თვალნათლივ გამოჩნდა, \*-ვნვ ტიპის პროტოკავკასიური დატივი ისტორიულად ფუნქციონირებდა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ოთხივე ჯგუფის ბრუნვათა და ზმნისართთა სისტემაში.

წმის მეორედ არის ნაბრუნები და მიღებულია საწმისი (!). „აბ-დულმესიანის“ **საწმისი** კი ამ ავტორისთვის არის „**მატყლი**“.

3. **საწმისი** ← **საწვმისი** „წვიმის, ტენის შესაგროვებელი“.

4. ქართულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში სიტყვა მატყლს ქართული და ქართველური ენების ბგერათშესატყვისობები ცნობილია, სიტყვის (მიმღეობის) ძირის სემანტიკა კი არ ჩანს, ვვარაუდობ, რომ ძირია **ტყ** (ტყ-ავ-ი), ე. ი. რაც ტყავზეა, რაც ტყავისაა (გ. დეეტერ-სი).

## როენა ჭკადუა

### უსუფიქსო გარდაუვალ ზმნათა ფორმობრივ-სემანტიკური ანალიზისათვის სვანურში

სვანურ ენაში გარდაუვალ ზმნათა დიდი ნაწილი აწმყოში უსუფიქსოდ არის წარმოდგენილი, რაც -ე, -ი(-ა) ბოლოსართთა მოკვეცით იხსნება (ვ. თოფურია).

ნულ- ბოლოსართი ბუნებრივია საშუალო გვარის სტატიკურები-სათვის, -შლ..., -იშლ... ელემენტიანი ფორმებისთვის, ზოგი აქტიური სუბიექტის მქონე ი- პრეფიქსიანი ვნებითებისათვის და რამდენიმე გარდამავალი ზმნური ფუძისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ -ე, -ი, -ა, Ø ვარიანტები ერთმანეთთან არ მონაცვლეობენ, პარადიგმის შიგნით მუდამ ერთი და იგივე ფორმანტია წარმოდგენილი (ალ. ონიანი).

ხმოვანსუფიქსები აწმყოს ფუძის მატარმოებელ ერთეულებს წარმოადგენენ და, აწმყოს ფუძის ჩამოყალიბების გარდა, ისინი გავლენას ახდენენ | სერიის ზოგიერთ მწერივში მწკრივის ნიშანთა სხვადასხვა ვარიანტების გამოვლენაზე. სინქრონიულ დონეზე ხმოვანსუფიქსთა რიგში უნდა განვხილოთ ნულ- სუფიქსიც, რომელიც პრეფიქსებთან ერთად გარკვეულ ყალიბს ქმნის და ამ ყალიბით სხვადასხვა სემანტიკური ჯგუფი წარმოჩინდება.

ყალიბი ბირის ნიშანი + ხმოვანსრუფიქსი + ძირი + Ø საკმაოდ გავრცელებულია საშუალო გვარის ზმნებში. ძირითადი ნაწილი ამგარი ყალიბის ზმნებისა ფუნქციურებითა კატეგორიას მიეკუთვნება. ვ.

## ალექსი ჭიანელი ული

### ეტიმოლოგიური შენიშვნა

#### საწმისი

1. ქართულ ეტიმოლოგიურ ლექსიკონებში სიტყვა „**საწმისი**“-ს ეტიმოლოგია არა ჩანს.

2. ივ. ლოლაშვილი ჩახრუხაძის „ქება მეფისა თამარისი“-ს ლექსიკონში „საწმისი“ არის: „საწამისი, რაც საწამებელია“. იგი „აღადგენს“ ფორმებს: „საწმის, საწმით, საწმად“. მისი აზრით სა-

თოფურიას მიაჩნია, რომ ამ ტიპის საშუალი (**გიჲ...**, **ხ-ა-გიჲ...**) ზმნები ვნებითთაგან (**გეჲ-ნ-ი...**) არის მიღებული. ჩვენი ვარაუდით, რელატიურ-გარდაუგალი **ხ-ა-გიჲ...** ტიპი მიღებულია არა ვნებითის **გეჲ-ნ-ი-დან**, არამედ აბსოლუტურ **გიჲ...** ტიპიდან... რომელიც არქაული სახით არის შემორჩენილი მისთვის დამახასიათებელი ფუძის გაუფორმებლობითა და სტატიკური მნიშვნელობით:

აბსოლუტ.

<b>ფხიჲ</b> (ერა) „დაფარტულია, გაშლილია“ (ის)	<b>ხ-ა-ფხიჲ</b> (ერა ეჭას „ის მას“)
<b>სიდ</b> (ერა) „დარჩენილია“ (ის)	<b>ხ-ა-სიდ</b> (ერა ეჭას „ის მას“)
<b>გიჲ</b> (ერა) „გაძლებულია“ (ის)	<b>ხ-ა-გიჲ</b> (ერა ეჭას „ის მას“)
მაგ.:	

შთსგიდდა ო დაწელ მშგ კალუქეა **ფხიჲ** „გაიხედა და თხები (ყველა თხა) ეზოშია გაფარტული (ეზოშია გაშლილი)“.

მარე მაგ ცეცქს **ხაფხიჲ** „ყველა (კაცი ყველა) ტყეს არის მოდებული („ტყეს მოდებულია“):

ბაჟაშ მუთტრი ჯიგარ **სიდ** სოფელლისგა „ჭეუის დამრიგებელი (მასწავლებელი) მხოლოდ თვითონ არის დარჩენილი სოფელში („დარჩენილია სოფელში“).

თამარას ეშეუ გეზალ გარ **ხასიდ** „თამარას ერთი შვილი-ღა ჰყავს დარჩენილი“.

გარდა ფერედრეკადთა კატეგორიის არქაული ფორმებისა, სვანურში გვექვს გარეგანი სახეობის ლექსიკური ერთეულები, როგორც უწოდებს მათ ა. დავითიანი, ხოლო ზ. ჭუმბურიძე მსგავს ფორმებს აწყვიში ნულსუფიქსიან სტატიკურებად განიხილავს. მაგ.: **გლიოუ** „ბრიყვულად ზის (ან დგას)“, **გუილ** „თავშიშველი დგას“, **კუიკ** „კოხტად ზის“ და სხვ.

დღესდღეობით მსგავსი აბსოლუტური ფორმები ნაკლებად იხმარება, მაგრამ მათგან ნაწარმოები რელატიურები საკმაო რაოდენობითაა. მაგ.: **ხ-ა-კუიკ** „მიცუცქულია“ (ის მას), **ხ-ა-ბიგბ** „დაბჯენილია“, **ხ-ა-უტეიკ** „აყუნცია“, **ხ-ა-ბიტე** „აწებია“, **ხ-ა-ბილ** „აბღენძია“ და სხვ.

უღლების თვალსაზრისით **ხ-ა-გიჲ...** ტიპი ემთხვევა მოქმედებითი გვარის და არა ვნებითის ფორმებს: **სიდ** — **სუიდ-დას** „დარჩენილი ვიყავი“; **სიდ-და** „დარჩენილი იყო“; **ხ-ა-სიდ** — **ხუა-სიდ-დას** „დარჩენილი ვყავდი“; **ხ-ა-ხიდ-და** „დარჩენილი ჰყავდა“.

ზემოაღნიშნული ყალიბით (**პირის ნიშანი + ხმოვანიპრეფიქსი + ძირი + Ø**) იწარმოება აგრეთვე აფექტური (ე. წ. გრძნობა-აღჭმის) ზმნები. მიჩნეულია, რომ ქართულში გრძნობა-აღჭმის ლექსი-

კურ-გრამატიკული ჯგუფის ჩამოყალიბება დღესაც მიმდინარეობს (ნ. ლოლაძე), სვანურში კი ამ ტიპის ზმნებისათვის ფორმობრივად საკმაოდ სტაბილური მოდელი გვაქვს. ერთი და იმავე ყალიბით არის გადმოცემული განკუნებულ სახელთაგან ნაწარმოები ზმნური ლექსები:

<b>მა-ნწამ</b> „მოწონება“	—	<b>ხ-ა-ნწამ</b> „მოსწონს“
<b>მა-კაც</b> „ნება“	—	<b>ხ-ა-კაც</b> „ნებავს“
<b>მა-უკაც</b> „რიდი“	—	<b>ხ-ა-უკაც</b> „ერიდება“
<b>მა-სდიფ</b> „წყენა“	—	<b>ხ-ა-სდიფ</b> „სწყინს“ და სხვ.

ამ ყალიბით მსგავსი სემანტიკის ზმნათა წარმოება დღესაც პროდუქტიულია. ამის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ მაგალითები ას-ლან ლიპარტელიანის ლექსიკონიდან:

**ხ-ა-ბრალ** „ებრალება“

**ხ-ა-ძნელ** „ეძნელება“

**ხ-ა-თაკილ** „ეთაკილება“

**ხ-ა-ხილ** „მოსწონს, ახალ ხილად მიაჩნია“ და სხვ.

ქართულში, როგორც ვიცით, ინვერსიული ფორმების გვერდით გაჩნდა არაინვერსიულიც (**მიუვარს** — **ვ-უვარობ**, **მ-ი-კვირს** — **ვ-კვირობ**).

სვანურში ზემოაღნიშნული მოდელის ინვერსიულ ზმნებთან სემანტიკურად ახლოს მდგომი ჩანს სრულიად სხვა ფორმობრივი სტრუქტურის (ი/ე — -შლ...), არაინვერსიული ფორმები:

	აბსოლოტ.	რელატ.
<b>მ-ა-მბაჲ</b> „მიკვირს“	—	<b>ხუ-ი-მბე-ბ-</b> „კვირობ“
		<b>ხუ-ე-მბე-</b> (მე)
	<b>შლ(ში)</b>	<b>შლ</b> (მას)
<b>მ-ა-</b> „მენანე-	—	<b>ხუ-ი-ტკლებ-</b> „ვძნწობ“
		<b>ხუ-ე-</b> (მე)
<b>ტკლებ</b> ბა“		<b>ტკლებ-შლ</b> (მას)
<b>მ-ა-უკაც</b> „მერიდე-	—	<b>ხუ-უკაც-</b> „ვრიდობ“
		<b>ხუ-ე-უკაც-</b> (მე)
<b>ბა“</b>	<b>შლ(ში)</b>	<b>შლ</b> (მას)

ქართულში **მიუვარს**... ფორმის პარალელურად **ვუვარობ**... ფორმის გაჩნიას ფორმობრივი თანაზომიერი ცვლილების ნიმუშს უწოდებს ბ. კორბენაძე და ახალი ფორმობრივი სტრუქტურის გაჩნიას მიზეზად | პირის აქტიურობას ასახელებს. ინვერსიული

სტატიკური ზმნების საპირისპიროდ პირდაპირი წყობის ცალების გახენის მიზეზად სისტემაში ხარვეზების შევსებისაკენ სწრაფვა მიაჩნია მ. სუხიშვილს და ამას ბუნებრივ პროცესად თვლის, რაღანაც ინვერსია გარდამავალი ზმნის თვისებაა. ჩვენი ვარაუდით გრძნობა-აღქმის ზმნებმა უკვე ჩამოყალიბებული **ი/ე** — **-ჭლ**... მოდელი გამოიყენეს, ერთი მხრივ, სუბიექტის ეტრივობის გამოსხატავად და მეორე მხრივ, ინვერსიულ ზმნებს **-ჭლ** ელემენტიანი ფორმების სახით გაუჩნდათ არაინვერსიული ოპოზიცია, რომელთა გარკვეულ ნაწილს დროთა მეორე ჯგუფში ერგატიული კონსტრუქცია ახასიათებთ.

## ნინო ჯორგენაძე

### **არსებით სახელთა ჯგუფები ქართულში**

არსებით სახელთა ჯგუფების გამოყოფისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ ფორმაწარმოებას და არა — შინაარსს... ამის მიხედვით ადრე არსებულისგან განსხვავებით დარჩება შემდეგი 4 ჯგუფი:

1. **ვინ და რა ჯგუფის არსებითი სახელები;**
2. **სულიერი და უსულო არსებითი სახელები;**
3. **საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები;**
4. **აბსტრაქტული არსებითი სახელები.**

### **ვინ და რა ჯგუფის არსებითი სახელები**

კითხვების მიხედვით არსებითი სახელები ორგვარია: **ვინ** ჯგუფი-სა და **რა** ჯგუფისა. **ვინ** კითხვა დაესმის ადამიანთა სახელებს, **რა** კითხვა — ყველა დანარჩენს.

კონტექსტის მიხედვით ზოგიერთი არსებითი სახელი შეიძლება სხვადასხვა ჯგუფს განკუთვნოს. მაგ.: **ახალგაზრდობას** („ვინ“ ჯგუფი) ბალში მოეყარა თავი; მაგრამ: მთელი **ახალგაზრდობა** („რა“ ჯგუფი) გაჭირვებაში გაატარა.

### **სულიერი და უსულო არსებითი სახელები**

ნივთიერი სახის მქონე საგანი ორგვარია: სულიერი ან უსულო.

**სულიერია** საგანი, რომელსაც სამშვინველი აქვს და საკუთარი ძალით მოძრაობს: ადამიანი, ცხოველი, ფრინველი, თევზი, მწერი, ქვეწარმავალი...

**უსულოა** საგანი, რომელსაც არც სამშვინველი გააჩნია და არც საკუთარი ძალით მოძრაობა არ შეუძლია: ხე, მიწა, ქვა, ზღვა, მთა...

სულიერი და უსულო არსებითი სახელები განსხვავებულად იქცევიან სინტაქსური ურთიერთობის დროს, კერძოდ - ზმნასთან რიცხვში შეწყობისას.

### **საზოგადო და საკუთარი სახელები**

სახელი შეიძლება იყოს **საკუთარი** ან **საზოგადო**.

ამათგან, საკუთარ სახელებში შედის:

1. **ადამიანთა** სახელები (ნინო, დავითი...);
2. **ადამიანთა გვარები** (ჭავჭავაძე, დადიანი, შენგელია...);
3. **ცხოველთათვის** შერქმეული სახელები (წიქარა, ღვინია...);
4. **გეოგრაფიული** სახელები (საქართველო, თბილისი, მტკვარი, მთაწმინდა...);
5. **ციურ მნათობთა** სახელები (მზე, მთვარე, ვენერა...);
6. **უურნალ-გაზეთების, დაწესებულება-ორგანიზაციების სახელწოდებები** („მნათობი“, თსუ...)...

საკუთარი სახელები განსხვავებულად იბრუნიან... ამასთანავე, ბრუნების მიხედვით განსხვავებული ჯგუფები გამოიყოფა თვითონ საკუთარი სახელების შიგნითაც...

### **აბსტრაქტული სახელები**

**აბსტრაქტულ** არსებითებში ვაერთიანებთ შემდეგი ტიპის სახელებს:

1. **არანივთიერი სახის მქონე** (სიხარული, ბედნიერება, სინანული...);
2. **ნივთიერებათა** (ოქრო, შაქარი, ბამბა, რძე, თაფლი...);
3. **ქრებით** (ახალგაზრდობა, ხალხი, ერი, ნაძვნარი...);
4. **მოვლენის აღმნიშვნელ** (წერა, კეთება, სიყვარული...)

აბსტრაქტული სახელების ძირითადი თავისებულება ის არის, რომ მათ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ...

## **პროექტი „მთის კავკასიური ენები საქართველოში. III“**

პროექტი ხორციელდება ქართველოლოგის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდის (რუსთაველის ფონდის) № 026-08 გრანტის შესაბამისად.

### **ვაჟა შენგელია**

#### **საგრანტო პროექტზე მუშაობის მესამე წლის (IX-XII კვარტალები) შედეგების შესახებ**

2010 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო საქართველოში წარმოდგენილი ექვსი ენობრივი (ბათუმელ აფხაზთა მეტყველება, ჩეჩენური ენის ქისტური დიალექტი, ბაცბური ენა, ხუნძური ენის ან-წუხური დიალექტი, ბეჭიტური ენა, უდიური ენა) სინტაქსის საკითხების ანალიზი, აგრეთვე, მცირე ლექსიკონების შედგენა და გამოკვლევების რედაქტირება.

**შეცხრე კვარტალში** შესწავლილ იქნა ატრიბუტული სინტაგმა (სახელური შესიტყვება) საკვლევ ენობრივ ერთეულებში, გაირკვა ის საერთო და სპეციფიკური, რაც მათ ახასიათებს სათანადო სალიტერატურო ენასა (აფხაზური, ჩეჩენური, ხუნძური) თუ დიალექტებთან შედარებით... გათვალისწინებული იქნა ატრიბუტული სინტაგმის კომპონენტთა წყობის, რიცხვსა თუ კლასში შეთანხმების ბრუნების საკითხები.

**შეათვ კვარტალში** კვლევის ობიექტი იყო ზმნური შესიტყვება (პრედივატული სინტაგმა) და ის სინტაქსური კონსტრუქციები, რომლებიც გარდამავალ თუ გარდაუვალ ზმნათა მონაწილეობით იქმნება.

**შეთერთმეტე კვარტალში** მოხდა უკვე შესრულებული სამუშაოების რედაქტირება-შევსება. მოეწყო ხუთი სამეცნიერო ექსპედიცია (მივლინება) ხუთ ენობრივ ერთეულზე დაკვირვების გასაგრძელებლად და მასალის მოსაპოვებლად (ბათუმი და მისი ახლომდებარე სოფლები, ახმეტის რაიონი — პანისის ხეობა, ყვარლის რაიონის სოფლები — თიკი, სარუსო, ჩატლისყურე, ოქტომბერი). ერთი ექსპედიცია (ახმეტის რაიონის სოფელი ზემო აღვანი) ჩატარება ვერ მოხერხდა

ობიექტური მიზეზების გამო, მაგრამ წინა წლებში მოპოვებული მასალა საკმარისია იმისათვის, რომ საჭირო მუშაობა ჩატარდეს.

**შეთორმეტე კვარტალში** საკვლევი ენობრივი ერთეულებისათვის მომზადდა ლექსიკონები (აფხაზურ-ქართული, ქისტურ-ქართული, ბაცბურ-ქართული, ხუნძურ-ქართული, ბეჭიტურ-ქართული, უდიურ-ქართული) — თითოეული 1000 სიტყვის მოცულობისა.

მით სრულდება მუშაობა პროექტზე „მთის კავკასიური ენები საქართველოში“. ის ამოცანა, რომელიც დასახული ჰქონდათ პროექტის მონაწილეებს, შესრულებულია. წლის დარჩენილი დღეები მომარდება იმას, რომ ნაშრომებმა სრულყოფილი სახე მიიღოს.

მომავალ წელს დაწყება ნაშრომების გამოცემა ცალკე მონოგრაფიების სახით.

### **ნანა მაჭავარიანი**

#### **ბათუმელ აფხაზთა მეტყველების შესახებ. III**

ახალდამწერლობიანი აფხაზური ენის ისტორია უკეთ აღდგება ნაკლებად შესწავლილი თქმების (კილოების) მონაცემთა გამოწულილებით შესწავლის საფუძვლზე.

აფხაზურ დიალექტთა გაცრიცელების ძირითად ტერიტორიას მოწყვეტილ აფხაზთა მეტყველება იძლევა ძვირფას მასალას აფხაზური ენის განვითარების გზის გასათვალისწინებლად.

ცნობილია, რომ ენობრივი მონაცემები სწრაფად ექვემდებარება ცვლილებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ესა თუ ის ენა განსხვავებულ ენობრივ სამყაროშია მოქცეული.

2010 წლის პირველი კვარტალში წარმოდგენილი იქნა აფხაზური ენის სინტაქსი. I. სახელური შესიტყვების (ატრიბუტული სინტაგმის) ანალიზი.

მეორე კვარტალში დამუშავდა სინტაქსი. II. ზმნური შესიტყვების პრედივატული სინტაგმის ანალიზი. მესამე კვარტალი დაეთმო გამოკვლევებისა და ენათმეცნიერული ტექსტების გამოსაცემად მომზადებას. მუშაობა ჩატარდა არსებული სამეცნიერო ლიტერატურის

კრიტიკული ანალიზისა და, აგრეთვე ჩვენ მიერ მოპოვებული ენობრივი მასალის საფუძველზე. მეოთხე კვარტალში გათვალისწინებულია მცირე ორენოვანი (აფხაზურ-ქართული) ლექსიკონის „შედგენა-მომზადება“.

პროექტის ფარგლებში 2010 წლის მესამე კვარტალში, სამეცნიერო გრანტით გათვალისწინებული სამუშაოს ფარგლებში 7. 06. 10. – 24. 07. 10 მივლინებით ვიმყოფებოდი ქ. ბათუმში და სოფ. ფერიაში, სადაც ვაკვირდებოდი აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა მეტყველებას.

ჩემი ინფორმატორები იყვნენ: როინ აგრძა (52 წლის), თამაზ ჩიმბა (44 წლის), ლიუდა აჭბა (84 წლის), ლუარა მეფორია (48 წლის), ირმა შარაშიძე (28 წლის), ლიანა არშბა (53 წლის), მათგან ჩავიწერე აფხაზური მეტყველების ნიმუშები; ზღაპრები, ფრაზები, ანდაზები. (აუდიო და ვიდეო მასალა, რომელსაც წარმოვადგენ სამეცნიერო კონფერენციაზე)

ამჟამად მოპოვებულ მასალის ვამუშავებ.

## როსტომ ფარეულიძე

### რიცხვით სახელთა ზოგი თავისებურების შესახებ ჩეჩენური ენის ქისტურ დიალექტში

ქისტურ დიალექტში ისევე, როგორც ჩეჩენურ სალიტერატურო ენაში, გარჩეულია რაოდენობითი, რიგობითი, წილობითი და ჯერობითი რიცხვითი სახელები. ესენი განსაზღვრული რიცხვითი სახელებია. ამათ გვერდით არსებობს მცირერიცხოვანი განუსაზღვრელი რიცხვითი სახელებიც.

თვლის სისტემა ოცნებითია. რიცხვითი სახელები თერთმეტიდან თვრამეტის ჩათვლით იწარმოება მოდელით ერთეულის აღმნიშვნელი სიტყვა + „ათი“: ცჰავთა (ცჰავა „ერთი“ + თეთ < ითთ „ათი“) „თერთმეტი“, შიღთა (ში’ „ორი“ + ითთ „ათი“) „თორმეტი“...

ყველა ნახურ ენაში კლასინიშნიანია „ოთხის“ აღმნიშვნელი რიცხვითი სახელი და მისგან ნაწარმოები „თოთხმეტი“ და ოთხმოცი“ (ქისტურში: დ-ი’ „ოთხი“, დ-იღთ „თოთხმეტი“, დ-ეუზტყა „ოთხმოცი“).

ზოგი რაოდენობითი რიცხვითი სახელი ქისტურში ფონეტიკულად განსხვავებულია სალიტერატურო ენის მონაცემებისაგან. ასე, მაგალითად:

1. სალიტერატურო ენაში რთულ რიცხვით სახელებს პა დაბოლოება აქვთ, რომლის ფუნქციაც დადგენილი არ არის. იგი არ ჩანს ქისტურში. გარდა ამისა, დასახელებულ რთულ რიცხვით სახელთა მეორე კომპონენტს წარმოადგენს მარტივი ფუნქცია ითთ „ათი“, რომელსაც ბოლოკიდურ პოზიციაში -ა ხმოვანი არა აქვს. შედრ.:

სალიტ. ენა ქისტური დიალექტი

ცჰავთა ცჰავთა „თერთმეტი“

შიღთა შიღთა „თორმეტი“

კომეტა კომეტა „ცამეტი“...

2. ამავე სახელებში ქისტური და სალიტერატურო ენის მონაცემები განსხვავებულია ბევრითი შედგენილობითაც:

დ-ევთა დ-იღთ „თოთხმეტი“

დალხითა დალხავთა „დახეოთთა“ „თექვსმეტი“

ვურპითა ვარავთა „ვარევთთა“ „ვარიღმეტი“

ბევრპითა ბარავთა „ბარევთთა“ „თვრამეტი“

შდრ., აგრეთვე:

ტყესნა ტყასთ „ცხრამეტი“

იგივე სახელები ინგუშურში შემდეგი სახით დასტურდება: დ-იღთა, დალხავთა, ვურპათთა, ბარავთთა.

ჩამოთვლილ სახელებში საინტერესოა ლხ, რჲ თანხმოვანთა კომპლექსების გამარტივების, დაშლის საკითხი ქისტურში, სადაც ზოგ არსებით სახელსა ზმნურ ფუნქცია ლხ კომპლექსი უხ-ს იძლევა. შედრ.:

სალიტ. ენა ქისტური დიალექტი

ნალხა ნოუხ (< ნაუხ) „კარაჟი“

შლხა ოუხ (< აუხ) „სალესი ქვა“

ალხა ოუხა (< აუხა) „ჩეჩვა“...

შდრ., აგრეთვე

დ-ელხა დ-იღხა||დ-ელხა „ტირილი“.

ამ ბოლო მაგალითში ლხ კომპლექსი სხვაგვარად არის შეცვლილი.

3. განსხვავებულია რიგობით რიცხვით სახელთა წარმოება ქისტურ დიალექტსა და სალიტერატურო ენაში. განსხვავება ფონეტიკის ფარგლებს არ სცილდება:

შოლლა შოლლოლ „მეორე“

კო'ალლა კო'ოლლოლ „მესამე“

დ-ტალღა	დ-იოლლოლ „მეოთხე“
ფხრალღა	ფხიოლლოლ „მეხუთე“
ტყალღა	ტყოლ(ლ)ოღ „მეოცე“...

ი. ალიროვის მიხედვით, ქისტურში **ლლ**-ს ნაცვლად გვაქვს **ლ**. თავისებურად იწარმოება წყა „პირველი“, მაგრამ რთულ რიცხვით სახელებში დასტურდება ერთი-ს აღმნიშვნელი ფუძისაგან ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელი ცჰალლოლ „მეერთე“: ტყა ცჰალლოლ „ოცდამეერთე“... ნათელია, რომ ჩენურში ვითარება ქართულისებურია.

4. ქართული -მაგ-ი სუფიქსი (შდრ.: ორ-მაგ-ი, სამ-მაგ-ი...) შესატყვისი ქისტურში არის **-ლხა**, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, აღწერილი არ არის. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში **-მაგ-ი** კვალიფიცირებულია როგორც სუფიქსი-მორფემოიდი, რომელიც დაერთვის რიცხვით სახელებს და გამოხატავს ჯერადობას (ჯორბენაძე..., 1988). **-ლხა** სუფიქსით რიცხვითი სახელების წარმოება ქისტურში პროდუქტიული არ არის და შვიდის ზემოთ იშვიათად იხმარება. ასე, მაგალითად:

ცჰა’ „ერთი“	ცჰა-ლხა „ერთმაგი“
ში’ „ორი“	ში-ლხა „ორმაგი“
კო’ „სამი“	კა-ალხა „სამმაგი“...

ჩვენი ვარაუდით, ორ-ის, სამ-ის აღმნიშვნელ ფუძეებში აღდგება თავდაპირველი ხმოვანი -ა (შდრ. დიალექტური ვარიანტები: შატ-ზ-ტყა „ორმოცი“, კატ-ზ-ტყა „სამოცი“).

## ლ ა ტ ა ვ რ ა ს ა ნ ი კ ი ძ ე

### ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმათა წარმოების თაობაზე ბაცბურ (წოვა-თუშურ) ენაში

ბაცბურში გამოიყოფა ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელები.

ვითარებითი ზედსართავი სახელები ჩვეულებრივ ბოლოვდება ნაზალურ ხმოვებზე: **ი** (ღელი<sup>6</sup> სუსტი<sup>6</sup>, ყარჭი<sup>6</sup> შაგი<sup>6</sup>...), **ე** (ღაზე<sup>6</sup> კარგი<sup>6</sup>, ყაჲაჲ<sup>6</sup> „მწარე“...), **უ** (ღასე<sup>6</sup> „დაბალი“, ღაცულე<sup>6</sup>...),

**ო** (ჭალი<sup>6</sup> „მაგარი“, დაქო<sup>6</sup> „დიდი“...), **ა** (ზორა<sup>6</sup> „მამაცი“, ხალა<sup>6</sup> „საწყენი“...).

ვითარებით (იშვიათად მიმართებით) ზედსართავ სახელებში გარჩეულია ხარისხის თარი ფორმა და დებითი და შედარებითი.

შედარების მატარმობლად მიიჩნევენ სუფიქსებს: **-ხუ**, **-უხ**, < **-ხუ** (შითნერი); **-ხხ** (დეშერივები); **ხ** < **ხუ** (გაგუა); **-ვხ** < **-უხ** < **-ხუ** (ჰოლისკი, გაგუა); **-ხ** (ჭრელაშვილი).

ბაცბურში შეიძლება გამოიყოს შედარების მატარმობელი სუფიქსი **-ხი** და **-ხი** და **-ხუ** || **ხუ** || **ხუ**, რომელიც დაერთვიან ბოლოხმოვნის ნაზალიაციას მომზადებულ სახელობითის ფუძეს დავით<sup>6</sup> („მსუბუქი“) — დავით<sup>6</sup> („უფრო მსუბუქი“):

1. **-ხ (||-ხუ)** სუფიქსი გვხვდება **-უ**<sup>6</sup>-სა და **ურ-ზე** დაბოლოებულ ზედსართავ სახელებში: დაცუ<sup>6</sup> „მოკლე“ — დაცუ-ხ(უ) უფრო მოკლე<sup>6</sup>, „შედარებით მოკლე“; ლახუ<sup>6</sup> „დაბალი“ — ლახუ-ხ უფრო დაბალი<sup>6</sup>; ჭულურ „უშინ“ — ჭულურ-ხ უფრო უშინ<sup>6</sup>; ლამზურ ლამაზი<sup>6</sup> — ლამზურ-ხ(უ) „უფრო ლამაზი“...

2. **-ვხ(||-ვხუ)** სუფიქსი ვადასტურებთ **ი**-ბოლოხმოვნიან ზედსართავ სახელებში: დავით<sup>6</sup> „მსუბუქი“ — დავით-ვხ „უფრო მსუბუქი“; დარჭით<sup>6</sup> „შაგი“ — დარჭით-ვხ „უფრო შაგი“; თიშით<sup>6</sup> „ძველი“ — თიშით-ვხ „უფრო ძველი“; წინით<sup>6</sup> „ახალი“ — წინით-ვხ უფრო ახალი<sup>6</sup>; სტამით<sup>6</sup> „მსხვილი, სქელი“, სტამი-ვხ „უფრო სქელი, მსხვილი“...

3. **-ივხუ** სუფიქსი დახნდება **ე**-ზე დაბოლოებულ ზედსართავ სახელებში: წევით<sup>6</sup> „წითელი“ — წევ-ივხუ<sup>6</sup> „უფრო წითელი“, ლაქი<sup>6</sup> „მაღალი“ — ლაქ-ივხუ<sup>6</sup> „უფრო მაღალი“, დარსტით<sup>6</sup> „მსხვილი“ — დარსტ-ივხ „უფრო მსხვილი“...

4. **-უხუ** სუფიქსი გამოიყოფა **-ო** და **ა-** ხმოვანფუძიან სახელებში: დაქო<sup>6</sup> დიდი<sup>6</sup> — დაქო-უხ „უფრო დიდი“, კაწკო<sup>6</sup> „პატარა“ — კაწკუხ „უფრო პატარა“...

ზორა<sup>6</sup> „მამაცი“ — ზორა-უხ „უფრო მამაცი“...  
ზემოთ მოყვანილი **-ხ (||-ხუ)**, **-ვხ (||-ვხუ)**, **-ივხუ (||ივხუ)**, **-უხუ (||უხუ)** სუფიქსები მომდინარეობს **ხუ-ხუ** სუფიქსისაგან, მისი (-ხუ სუფიქსის) ნაირსახეობა შედარებითი ხარისხის ფორმებში ფონეტიკური ცვლილებების (მეტათეზისი, ხმოვანთა შერწყმა, მონაცვლეობა, დიფთონგიზაცია, ასიმილაცია) შედეგია. ნიმუშად წარმოვადგენთ **-ხ (||-ხუ)**, **-ვხ (||-ვხუ)**, **-ივხუ (||ივხუ)**, **-უხუ (||უხუ)** სუფიქსის გამოიყოს ათვის 61

ამოსავალი **-ხუ** სუფიქსის ცვლილების თითო შემთხვევას: 1. დაცუ-**ხ(უ)** („უფრო მოკლე“) < დაცუ-უ-ხ(უ) < დაცუ-უ-ხუ; 2. დავი-**გხ** („უფრო მსუბუქი“) < დავი-უხუ < დავი-ხუ; 3. წევ-იგხუ („უფრო წითელი“) < წევე-ხუ < წევე-უხუ < წევე-ხუ; 4. დაწა-**უხ** („უფრო დიდი“) < დაწა-უ-უხუ < დაწა-უხუ < დაწა-ხუ.

პარალელური ფორმები (ამოსავალი და მეორეული) დასტურდება ა. შიგნერთან (1856), დ. და 6. ქადაგიქების „წოვა-თუშურ-ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ (1984), XX ს.-ის სამოციან წლებში ჩაწერილ ტექსტებსა და თანამედროვე ბაცყურშიც: დაწა-**თუხ** „უფრო დიდი“ || დაწა-**უხ**; დოხო-**თუხ** („უფრო დანგრეული“) || დოხო-**უხ**; ღაზე-**უხ** („უფრო კარგი“) || ღაზე-**მეგხუ** || ღაზი-**თუხ** || ღაზი-**უხ**... დახი-**ხ** („უფრო გრძელი“) || დახი-**თუხ**... მაწრიხუ („უფრო ტკბილი“) || მაწრი-**გ**; დაქი-**ხ** („უფრო კარგი“) || დაქი-**გ**...

ამოსავალია ზედასართავი სახელის შედარებითი ხარისხის ფორმები დაწა-**ხ**, დოხო-**უხ**... მაგრამ მაწრიხუ, დაქი-**ხ** ფორმები მეორეულიდ შეიძლება მივიჩნიოთ: ხარისხის ფორმაში დაქი-**გ**... (გხ სუფიქსიდან იკარგება გ თანხმოვანი (დაქივე > დაქიხ), გ-ს დაკარგვა ხშირად იჩენს თავს ბაცყურში. ხ იყავებს უფროობითი ხარისხის მაწარმეების სხვა სუფიქსების ადგილს (შდრ. ღაზე „კარგი“ — ღაზი-**ხ** || ღაზი-**ხ**...).

ბაცყური ზედასართავი სახელის შედარებითი ხარისხის **-ხუ** საერთოა ჩან. **-ხო**, ინგ. **-და** სუფიქსებთან.

ჩაჩურ-ინგუშურში ზედასართავის შედარებითი ხარისხის ფორმას შესაძლებელია ჰქონდეს ზმნიზედის მნიშვნელობაც (შდრ. რუსული ვაშე „უფრო მაღლა“ || „მაღლა“) ისევე, როგორც დადებითი ზედასართავი სახელისა და ზმნიზედის შემთხვევაში.

ბაცყურში შეინიშნება **აღმატებითი და ოდნაობითი** ხარისხის ფორმების ჩამოყალიბების ტენდენცია ჭ და კაც ნაწილაკებით: ჭ ნაწილაკი დაერთვის ზედასართავის შედარებითი ხარისხის ფორმას (ღაზეხუ-ჭ („ძალიან კარგი“, „საუკეთესო“) < ღაზეხუ („უფრო კარგი“) + ჭ ნაწილაკი), კაც ნაწილაკი — ზედასართავი სახელის სახელობითი ბრუნვის ფორმას (ღაზე-კაც („ცოტათი კარგი“) < ღაზე- („კარგი“) — კაც ნაწილაკი.

## ლევან აზმათიშვილი

### ზოგ სინტაქსურ თავისებურებათა შესახებ ხუნძური ენის ანწუხურ დიალექტში

როგორც ცნობილია, იბერიულ-კავკასიურ ენათა დიდი ნაწილის მსგავსად, ხუნძურ ენაში არ მოიპოვება „ქონა-ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნური ფორმები. „ქონა-ყოლის“ სემანტიკა რომ გადმოსცეს, ვთქვათ, ამდავგარ წინადაღებაში „მმას ცხენი ჰყავს“, ხუნძური ენა იყენებს შემდეგი სახის სინტაქსურ კონსტრუქციას: ვაცასაულ ჩუ ბუგო, ზედმიწ. „მმისა ცხენი არის“ (= „ჰყავს“); ასეთივე ტიპისაა წინადაღება: დირ შარაც ბუგო, ზედმიწ. „ჩიმი ფული არის“ (= „მაქვს“) და სხვა; ანუ ასეთ შემთხვევაში მეშველი ზმნა **ბუგო** („არის“) რეალურ სუბიექტს, როგორც წესი, მართავს ნათესაობით ბრუნვაში. „ქონა-ყოლის“ შინაარსის გადმომცემ ამ ტიპის კონსტრუქციას სპეციალისტები უწოდებენ პოსესიურ (resp. ნათესაობითიან) კონსტრუქციას (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, 1962).

მაგრამ „ქონა-ყოლის“ შინაარსის ხუნძურ ენაში შეიძლება გადმოსცემდეს სხვა ტიპის სინტაქსური კონსტრუქციაც, რომელშიც **ბუგო** („არის“) მეშველ ზმნასთან რეალური სუბიექტი წარმოდგენილია || სერიის ლოკატიურ ბრუნვაში. ამრიგად გვაქვს ორი სახის კონსტრუქცია:

ვაცასაუ-**ლ** ჩუ ბუგო (RS ნათ. ბრ.)

„მმას ცხენი ჰყავს“

ვაცასაუ-**ჭ** ჩუ ბუგო (RS || სერ. ლოკატ. ბრ.)

„ქონა-ყოლის“ შინაარსის გადმომცემი წინადაღებები, რომლებიც || სერიის ლოკატიური ბრუნვის ფორმიან რეალურ სუბიექტს შეიცავს, ხუნძურ ენაში ჯერ კიდევ პ. უსლარმა დაადასტურა (პ. უსლარი, 1889). როგორც ამჟამად გარკვეულია, ნათესაობითიანი (პოსესიური) კონსტრუქციის წინადაღებებისაგან || სერიის ლოკატივიანი წინადაღებები გამოირჩევან იმით, რომ მათი მეშვეობით გადმოიცემა რისამე დროებით ფლობის შინაარსი (ზ. მალავა, 2008).

|| სერიის ადგილობით ბრუნვიანი ანალოგიური კონსტრუქცია მოეპოვება ანწუხურ დიალექტსაც (ვემყარებით ყვარლის რ-ნის სოფ.

თივეში მოსახლე ანწუხელი ხუნძების ტოხურ-ჭადაქოლოურ მეტყველებას), ოღონდ სალიტერატურო (resp. ჩრდილოური ხუნძურის) **-პ** ფორმანტის ნაცვლად აქ მის ფუნქციურ შესატყვისად გვევლინება სუფიქსი **-ხ**, მაგ., ბაბა-**ხ** ბუგუ დირ შარაშ „დედას აქვს ჩემი ფული“ (ზედმიწ. „დედასთან არის ჩემი ფული“), დი-**ხ** ჰედინაბ ჰუნარ თეცუ „მე ასეთი შესაძლებლობა არ გამაჩნია“ (ამჟამად და არა საერთოდ)...

წარმოვადგენთ სხვა მაგალითებსაც ანწუხური **-ხ** ლოკატივის (სალიტერატურო ხუნძურის **-პ** ფორმანტის ფუნქციური შესატყვისის) წინადადებებში გამოყენებისა.

სალიტერატურო ხუნძურში (resp. ჩრდილოურ ხუნძურში), სხვა კონსტრუქციათა შორის, ჩვეულებრივ გამოიყენება შემდეგი სახის ორი კონსტრუქცია:

**ტრე დი-ჟ ტეხ**

„მომეცი მე წიგნი!“

**ტრე დი-ვ-ე ტეხ**

ანწუხურში ამ წინადადებებს შეესატყვისება:

**ტრე დიბ-ჟ ტეხ**

„მომეცი მე წიგნი!“

**ტრე დი-ხ ტეხ**

ნაცვალსახელთა ლოკატივიანი ფორმები (ლიტ. დი-ჟ-ე, ანწ. დი-**ხ**) რამდენადმე განსხვავდებიან მიცემითიანი ფორმებისაგან (ლიტ. დი-ე, ანწ. დიბ-ჟ) იმით, რომ წინადადებებში ისინი გადმოსცემენ ასეთ სემანტიკურ ნიუანსს: „მომეცი წიგნი რამდენიმე ხნით“, „მათხოვე წიგნი“...

სალიტერატურო ხუნძურში მოიპოვება ცალკეული ისეთი ზმები, რომლებთანაც ირიბი დამატება || სერიის ლოკატიურ ბრუნვაში დაისმის ხოლმე; ასეთი ზმებია, მაგალითად, ბ-ალაჲიზე „ცერა, ყურება“, ბ-ალაჲუნ ჭარზე „ლოდინი“ და სხვა. ანწუხურ დიალექტში შესაბამის ზმებთან ირიბი დამატება ჩვეულებრივ **-ხ** სუფიქსით გაფორმებული გვხვდება. მაგალითები სოფელ თივის მეტყველებიდან: ჭინულგუ დუ-**ხ** ლაჲუ რუგუ „ყველანი შენ გიყურებებ“ (შდრ. ლიტ. ჭინალგო დუ-**ჟ** რალაჲუნ რუგო), მუნ ლაჲუ წა დი-**ხ** ლაჲა „შენ დამელოდე მე აქ!“ (შდრ. ლიტ. მუნ ვალაჲუნ ჭაა დი-**ჟ** ჰანივ!)... მსგავს

ვითარებას წარმოგვიდგენს ზმნა-შესიტყვება როტაი ქეზე „შეყვარება“, მაგ., სალიტერატურო ხუნძურში: ჰასულ როტაი ქანა დოდ დასალ-ჟ-ჟ „მას შეუყვარდა ის გოგო“. ეს წინადადება ანწუხურად ასეთი იქნება: ღუსაულ როტაი ხალა ჰე დაალ-ა-ხ (ფორმა დაალ-ა-ხ ← დაალ-ა-უ-ხ ← ჰას-ა-ლ-ა-უ-ხ, დას „გოგო, ქალიშვილი“)...

სალიტერატურო ხუნძურში ცნობილია || სერიის ლოკატიური ბრუნვის კიდევ ერთი დანიშნულება. როგორც დადგენილია, სუბიექტი || სერიის ელატივის ფორმაში გამოიყენება აგრეთვე უნებლივ, შემთხვევითი მოქმედების სემანტიკის გამოსახატავად (%. მალაევი, 2007). || სერიის ლოკატიური ბრუნვის ფორმანტი **-ჟ** ელატივის (დაცილებითის) ფორმაში იქნება **-ჟ-ა**. მაგალითად: ლიტ. დი-ჟ-ა ჰებ ლალატ ქანა „მე ეს შეცდომა უნებურად მომივიდა“ (ზედმიწ. „ჩემ-გან ეს შეცდომა მოხდა“...ანწუხურშიც უნებურობის სემანტიკას გადმოსცემს სუბიექტი ელატივის ფორმაში, თუმცა სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, იგი წარმოდგენილია | სერიის ადგილობრივი ბრუნვის ელატივის ფორმით: ანწ. დი-ხა ჰებ ლალატ ხა „მე ეს შეცდომა უნებურად მომივიდა“ (ანწ. დი-სა ← დი-და-საა)...

ლიტ. დი-ჟ-ა ისთავან ბექანა

„მე ჭიქა გამიტყდა“  
(ზედმიწ. „ჩემ-გან ჭიქა გატყდა“)

ანწ. დი-ხა ისთავან ბექტვა

შდრ. ლიტ. დი-ცა (RS ერგ. ბრ.) ისთავან ბექანა „მე ჭიქა გავტეხე (განზრახ)“, ანწ. დი-ჟ- (RS ერგ. ბრ.) ისთავან ბექანა...

სოფ. თივის ანწუხელთა მეტყველებაში გვხვდება აგრეთვე თავისებური მორფება **-დახ**. ეს ანწუხური ფორმა სალიტერატურო ხუნძურში ეფარდება || სერიის ალატივის (მიმართულებითის) **-ჟ-ე** ფორმას. მაგალითები: ლიტ. დი-ჟ-ე როყოსაან ხააბარ შევერთ, ზედმიწ. „ჩემ-თან-კენ სახლიდან ამბავი არ მოვიდა“ („შინიდან ამბავი არ მომსვლია“), შდრ. ანწ. დი-დახ რუყისა ხააბარ შეველეჭუ; ლიტ. დუცაა ვაცასაუ-ჟ-ე ქალათ კვაჭიშა „შენ ძმას (ზედმიწ. „ძმას-თან-კენ“) წერილი არ მისწერე?“, შდრ. ანწ. დულ ვაცას-დახ ქალათ კვაჭიშა? და სხვა.

როგორც ჩანს, ანწუხურში მორფემა **-დახ** წარმომავლობით უნდა იყოს | სერიის ლოკატიური ბრუნვის ფორმანტი **-და**, რომელსაც დართული აქვს მიმართულების (ალატივის) გამომხატველი ანწუხური სუფიქსი **-ხ** (-და-ხ).

ანწუხური დიალექტის სინტაქსურ თავისებურებათა მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე შემდეგი ფაქტები:

სალიტერატურო ენაში ზმნა **რიხინე** („სიძულვილი“) გრძნობა-აღქმის გამომხატველი სხვა რამდენიმე ზმნის (*verba sentiendi*) მსგავ-სად რეალურ სუბიექტს, როგორც წესი, მოითხოვს | სერიის ლოკა-ტიური ბრუნვის ფორმაში (-და ფორმანტით), ხოლო სოთ. თივის ან-წუხურ მეტყველებაში იმავე მნიშვნელობის ზმნა **ბ-იჲში** (სალიტერა-ტუროსაგან განსხვავებით იგი ცვალებადია კლასისა და რიცხვის მი-ხედვით) რეალურ სუბიექტს მიუკით ბრუნვაში მართავს: დი-ვ-ე ვ-იჲ-ნონ ღა „მე (RS მიც. ბრ.) მძულს იგი (კაცი)“, დი-მ-ე ვ-იჲ-ნონ ღე „მე (RS მიც. ბრ.) მძულს იგი (ქალი)“; შდრ. ლიტ. ლიტ. დი-და (RS | სერიის ლოკატ. ბრ.) რიხუნ ვუგო დოვ, დი-და რიხუნ მიგო დოვ. საფიქრებელია, რომ ეს მოვლენა შეპირობებულია საპირისპირო მნიშვნელობის („სიყვარული“) მქონე ზმნასთან ანალოგით: ანწ. **ბ-ატყი** „ყვარება“ (ლიტ. **ბ-ოტათზე**), ანწ. დი-ვ-ე ვ-ატანა ღა „მე (RS მიც. ბრ.) მიყვარს იგი (კაცი)“, შდრ. ლიტ. დი-მ-ე ვ-ოტაულა დოვ; ანწ. დი-მ-ე ვ-ატანა ღე „მე (RS მიც. ბრ.) მიყვარს იგი (ქალი)“, შდრ. ლიტ. დი-მ-ე ვ-ოტაულა დოვ და სხვა.

## ნოდარ არდოტელი

### ლაბიალიზებული კომპლექსის გამარტივებისათვის ბეჭიტურ ენაში

1. ლაბიალიზებული კომპლექსი, სხვა ახლომონათესავე ენათა-გან განსხვავებით, ნიშანდობლივი არ არის ბეჭიტური ენისათვის. C + W სტრუქტურის კომპლექსი ფაქტობრივ ორი ფონემის შემჭიდრო-ებულ არითმეტიკულ ჯამს უდრის და, აქედან გამომდინარე, სპეცია-ლურ ლიტერატურაში დელაბიალიზაციის პროცესზე საუბარი პირო-ბითია [იხ. ხალილოვი 1995: 393]. სინამდვილეში ბიფონემური კომ-პლექსის პირველი ან მეორე კომპონენტის სხვადასხვაგვარი გზით (შერწყმა, სუბერაცია, მეტათეზისი...) დაკარგვის ფაქტები გვაქვს, მაგ.: საკ. ბეჭ. **უო** <\*ლუო, ჰუნჩ. **უო** < ლუბ (შდრ. საკ. დიდ. **ლ'უა**: ჰინ. **ლუე**: ხვარ. **ლ'უე** „id“). „ძალლი“, საკ. ბეჭ. გიტ-ალ <\*გიტ-ალ

(შდრ. საკ. დიდ. **ეტუ-ა** "id".) „დასხმა“, საკ. ბეჭ. დაჭო < დაკუო ჰუნჩ. როჭუ <\*როკუ (შდრ. ხვარ. **ლოკუ** "id") და მისთ.

2. მართალია, სხვა დიდოურ ენებში ლაბიალიზებული კომ-პლექსის გამარტივების შემთხვევები დასტურდება (ბიფონემური კომ-პლექსები ფაკულტატურად იცვლებიან მარტივი თანხმოვნებით), მაგ-რამ იგი თანამიმდევრულად და ბოლომდე მხოლოდ ბეჭიტურ ენაში არის გატარებული. ამას ცხადყოფს არა მხოლოდ ზემოდამოწმებული ძირეული მასალა, არამედ სხვა ენათაგან შეთვისებული ლექსიკაც, მაგ.: ხუნდ. **ქუენ** > ბეჭ. **ქენ** „საჭმელი“, ქართ. **ლვინო** > ბეჭ. **ლინო**...

3. ლაბიალიზებული კომპლექსების გამარტივება შეპირობებუ-ლი ჩანს როგორც უშუალოდ ფონეტიკური ფაქტორით (მეზობელ ბეჭრათა ზეგავლენით), ისე წყვილბაგისმიერი არტიკულაციის შესუს-ტებით, რაც დამახსასიათებელია არა მხოლოდ ბეჭიტურისთვის, არა-მედ ზოგადი ნიშანია ამ ენათა სინამდვილისთვის.

## რომან ლოლუა

### პრედიკატული სინტაქმის კონსტრუქციებისათვის უდიურ ენაში

უდიურ ენაში პრედიკატული სინტაქმის ოთხი ტიპის კონ-სტრუქცია გამოიყოფა; ესენია: ნომინატიური, ერგატიული, დატიური (ინგერსიული), პოსესიური (გენიტიური). პირის ნაცვალსახელთა სუ-ბიექტად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება ვილაპარაკოთ ინდეფი-ნიტური კონსტრუქციის შესახებ (უდიურ ენაში პირის ნაცვალსახელ-თა სახელობითია და ერგატივისათვის ერთი ფორმა გვაქვს).

ნომინატიურ კონსტრუქციაში, სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა მსგავსად, უდიურში პრედიკატს გარდაუვალი ზმნა წარმოადგენს, ხო-ლო სუბიექტს — ნომინატივით წარმოადგენილი სახელი (გაუფორმე-ბელი ფუქს).

ერგატიული კონსტრუქციის შემადგენელი ნაწილებია: გარდამა-ვალი ზმნა და მასთან დაკავშირებული ორი სახელი — რეალური სუბიექტი ერგატივში და პირდაპირი ობიექტი მიცემითა ან სახე-ლობითში. პირდაპირი ობიექტის გადმოცემა მიცემითის ფორმით მთის იბერიულ-კავკასიურ ენათაგან მხოლოდ უდიურისთვისაა დამა-

ხასიათებელი. აღსანიშნავია, რომ ერგატივში დასმული სახელი რამდენიმე ერთპირიან (ახშუმ-ეს „სიცილი“; ახშუმ-ფ-ეს „გაცინება“) და გრძნობა-აღქმის ზმნებთანაც გვევლინება რეალურ სუბიექტად.

დატიურ (ინვერსულ) კონსტრუქციას ოციოდე ზმნა ქმნის. უნდა აღინიშნოს, რომ ნიჯურ კილოში დატიური კონსტრუქცია მთლიანად მოშლილი, ხოლო ვართაშნულში იგი მოშლის პირასაა მისული — ამჟამად, როგორც წესი, *verba sentiendi*-ს ტიპის ზმნების სუბიექტი დასმულია ერგატიულ ბრუნვაში, თუმცა ჯერ კიდევ XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში, როგორც უდიური ტექსტობრივი მასალიდან ირკვევა (უდიური თოხთავი, ზღაპარი „რუსტაზ“, უდიური საანბანო-საკითხავი წიგნი „საჭირ დაშ“ და სხვ), ვართაშნულში თანაბრად გამოიყენებოდა მიცემითი და ერგატიული ბრუნვის ფორმები (ბუნებრივია, გრძნობა-აღქმის ზმნათა სუბიექტის დასმა ერგატივში მეორეული მოვლენა): ტე ვახტა **ისუბ-ა** ანდახ-**ტუ**-ბი იჩენ იჩბოშ, თე ჭერინ იჩხო ზორ „მაშინ იგხომ (მიც.) იგრძნო თავის თავში, რომ მას ძალა გამოსვლია (წართმევია)“ (მრკ. 5, 30);

მაგრამ: შეტაბახტინ-თე **იროდ-ენ** ბუ-**ტუ**-ესა პერლახ ჭურუკანე „რადგანაც ჰეროდებს (ერგ.) სურს ბავშვი მოქებნოს (მთ. 2, 13).

მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი ერგატივშია დასმული, გრძნობა-აღქმის ზმნები ვართაშნულში ინარჩუნებენ მიცემით-სუბიექტიანი სერიის პირის ნიშნებს, რაც გვაძლევს კიდეც დატიური კონსტრუქციის გამოყოფის საფუძველს.

უდიურ ენაში დატიური კონსტრუქცია თავისებურებას იჩენს: პრედიკატად ასეთ კონსტრუქციაში, გრძნობა-აღქმის გარდაუვალი ზმნების გარდა, გარდამავალი ზმნებიც გვევლინება: აბაბაქ-ეს „ცოდნა“; აკ-ეს „ხედვა“; ანდახბ-ეს „გრძნობა“; ბაქ-ეს (როდესაც გამოიყენება „შეძლების“ მნიშვნელობით); ბუკ-ეს (როდესაც გამოიყენება „შეყვარების“, „ნდომის“, „მოსურვების“ მნიშვნელობით); იბაქ-ეს „მოსმენა“; იბბ-ეს „მოგონება“, „გახსენება“; ჩალბ-ეს „ცნობა“.

რეალური ობიექტი, ერგატიული კონსტრუქციის მსგავსად, აქაც სახელობითსა ან მიცემითში გვექნება.

პოსესიურ (ვენიტიურ) კონსტრუქციას მხოლოდ ერთი დეფექტური ზმნა ბუ „ქონა“, „ყოლა“ ქმნის (ის მხოლოდ აწმყოსა და ნამყო-უწყვეტელის დროებს აწარმოებს, ხოლო დანარჩენ პარადიგმას ბაქ-ეს „ყოფა“, „არსებობა“, „გახდომა“ ზმნის დრო-კილოები ავსებენ). პოსესიური კონსტრუქციის სუბიექტია ნათესაობით ბრუნვაში დასმუ-

ლი სახელი. ზმნა ბუ „ყოფნის“ მნიშვნელობითაც გამოიყენება (მაგ., ზუ **ბუ**-ზუ „მე ვარ“) და ასეთ შემთხვევაში იგი ნომინატიურ კონსტრუქციას ქმნის.

განსხვავებული ვითარება დასტურდება ნიჯის დიალექტში. ვართაშნულ კილოში „ქონა“, „ყოლის“ აღმნიშვნელი ზმნის კონსტრუქციისთვის (ნიჯ. ფუ) დამახასიათებელი პოსესიური (გენეტიური) სერიის პირის ნიშნები შეიცვალა მიცემით-სუბიექტიანი სერიის პირის ნიშნებით, თუმცა მისი სუბიექტი, ვართაშნულის მსგავსად, ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი, მაგ.: **ზექპ-ბ-დ** ფუ-თუ-**ტუ**-ი სა ჩუვუხ, იჩ ც-ი ეფთპრ „**ზაქარია**“ (ნათ.) ჰყავდა ცოლი, მისი სახელია ეთერი“...

გრძნობა-აღქმის ზმნების შემცვლელი დატიური კონსტრუქცია ნიჯურში, ვართაშნულისაგან განსხვავებით, შეიცვალა ერგატიულით: სუბიექტად *verba sentiendi* ზმნებთან მხოლოდ ერგატივში დასმული სახელი გვხვდება და, ამასთან, გამოიყენება სახელობით-ერგატივიანი სერიის პირის ნიშნები.

უდიურში ირიბი ობიექტის ბრუნვა ყველა კონსტრუქციასთან არის მიცემითი. ამას გარდა, ირიბ ობიექტად შეიძლება სუპერასივისა და -ლახო „ზე“, „ზედა“ თანდებულდართული ნათესაობითის ფორმით შეგვხდეს.